პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 9 (12825)

შაბათი, 11 იანვარი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

საბჭოთა ადამიანები დიდი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების უახლოესი შვიდი წლის გრანდიოზულ პროგრამას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მკაფიოდ მოწმობს, თუ რა ბეჯითად და თანმიმდევრულად ახორციელებს ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახულ კურსს, სკკპ პროგრამას.

10 იანვარს გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები და სარეგიონო კომისიის წევრები, სოფლის კომიტეტების, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების, სამრეწველო-საწარმოო პარტკომების მდივნები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველოთა პარტკომების მდივნები და სამმართველოთა უფროსები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მშრომელთა დეპუტატების სოფლის, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და რესპუბლიკის სხვა ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, სამრეწველო საწარმოო და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტთა თავმჯდომარეები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერი მუშაკები, პრესისა და ლიტერატურის მუშაკები, ზოგიერთი მსხვილი ქარხნისა და ფაბრიკის დირექტორები, მთავარი ინჟინრები, სპეციალისტები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. აქტივს დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ქიმიური მრეწველობისა და მშენებლობის მოწინავე მუშები, კოლმეურნეები.

პარტიული აქტივის კრების პრეზიდიუმში არიან ბ. ნ. ბოჩკარიოვი, ბ. ა. გეგეშიძე, მ. ი. აუზანა, დ. ბ. სტურუა, ა. ტ. სტუჩინკო, შ. ი. ბანუსვაძე, ბ. დ. ჯაბახიშვილი, ბ. ს. ძოწენიძე, ბ. ი. ჩოგოვაძე, მ. მ. ლელაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების სექტორის გამგე ი. დ. მელკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების სექტორის გამგე ი. ა. ზუბკოვი.

პარტიული აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ბ. ა. გეგეშიძემ.

მოხსენება — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. დ. ჯაბახიშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ი. დავითაძემ, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის სოფლის კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. თ. გლაჟმამ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ი. ფ. სარიშვილმა, რუსთავის აზოტიანი სასუქის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ი. მ. გრძელიძემ, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ს. კობახიძემ, გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ი. ა. ტოლიაშვილმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველმა ზ. ს. ჯაფარიძემ, სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ს. ქორიშვილმა, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ზ. ბ. გელდიაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ა. ჯაბაშამ, მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. ე. ჯაფელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ბ. სტურუამ, ყვარელის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ი. ზაუტაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ა. ლანდიამ, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ი. ი. ჩიკაძემ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ბ. დ. ჯაბახიშვილმა.

პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის. აქტივის კრებამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებს, მეცნიერ ქიმიკოსებსა და ტექნოლოგებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს უნარი შესწევთ რესპუბლიკის წინაშე მდგარი დიდი ამოცანები გადაჭრან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით. (საქდესი).

შრომითი პატაკები

ჭიათურის ლენინის სახელობის მაღარომ სასახელოდ დაასრულა გასული წელი. მარშანდელი დავალება მან ჯერ კიდევ 19 ოქტომბრისათვის შეასრულა.

მაღაროს კოლექტივი ამ დღეებში თავდადებით იბრძვის, რათა კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებით შეხვდეს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას. მათ ამისათვის ყველა პირობა აქვთ შექმნილი — ახლა მაღარო მთლიანად მექანიზებულია, დაიდგა ახალი გაუმჯობესებული მადნის ამწმენდი სატვირთო მანქანები.

სურათზე: ცალა სამუშაოდ მიემართება.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ქუთაისელთა წარმატება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქიმიური ქარხნის კოლექტივმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მაღალი ტემპი აიღო. აქ მარტო ერთი კვირის განმავლობაში რამდენიმე ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

დიდი გადამეტებით სრულდება ახალი ქიმიური პროდუქტების — ტექნიკური რეზინისა და ჰიდროსამუხრუჭე სითბოს გამოშვების ყოველდღიური დავალებები. ტექნიკური რეზინის საამქრო, რომელსაც ბ. ჭაბუკიანი უძღვება, საწარმოო გეგმას 120-125 პროცენტით ასრულებს.

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატში, რესპუბლიკის ამ დიდ საფეიქრო საწარმოში, ახლა მთელი ქსოვილების 60 პროცენტს ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოებისაგან ამზადებენ.

ვისკოზური და კაპრონის ქსოვილების შემდეგ ფეიქრებმა წარმატებით აითვისეს აცეტატური აბრეშუმის ქსოვილების წარმოება. ახალი წლის პირველ ათდღიანურში კომბინატის კოლექტივმა კაპრონისა და აცეტატის ქიმიური ბოჭკოებისაგან მოქსოვა 20 ათასი მეტრი ზეგეგმითი საკაბე და საპერანგე ქსოვილები.

მოპოვებულია კიდევ ერთი გამარჯვება. ქსოვილების გახამებისათვის ახალი წლის დამდეგიდან დაიწყეს ქიმიური მასალების — პოლიაკრილამიდისა და „ცმც"-ის გამოყენება, რითაც ძირითადად შეუვლეს სიმინდისა და კარტოფილის სახამებელს, აგრეთვე საკვები ჟელატინის გამოყენება სამრეწველო საჭიროებათა და ამ გზით ქვეყანას ტონობით კვების პროდუქტები დაუზოგეს.

ჩქარი ტემპით

წალენჯიხა, 9 იანვარი. (საქდესი). სოფელ ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების საზამთრო დაბარვა. უკვე დაბარულია 70 ჰექტარი ფართობი, შეტანილია მინერალური სასუქები.

სასიმინდე ნიადაგი მზრალად მოხნულია 30 ჰექტარზე. ათვისებულია აგრეთვე 18 ჰექტარი ყამირი მიწა.

ივლისის ანგარიშში

ახალი შრომითი აღმავლობაა თბილისის სამენ მასალათა კომბინატში. ამ კომბინატის კოლექტივმა დიადი შვიდწლედის მეექვსე წელს რიტმულად დაიწყო მუშაობა. საამქროებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ გაჩაღდა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მოპოვებულია პირველი წარმატება. ცხრა დღის საწარმოო დავალება ყველა სახეობის მიხედვით შესრულებულია გადაჭარბებით.

კომბინატში გამართული მუშაობით ყურადღებას იპყრობს ფაიფურის ნაკეთობათა კომუნისტური შრომის საამქრო, რომელსაც უნარიანად უძღვება მოსულოშვილი. ამ საამქრომ გასულ წელს 1 ნოემბერს შეასრულა წლიური გეგმა, დარჩენილ ორ თვეში გაანაღდა 1964 წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება და ახლა პროდუქციას ივლისის ანგარიშში უშვებს.

საამქროში ბევრნი არიან მოწინავენი, თვალიანთი საქმის ოსტატები, ადამიანები, რომლებიც მოხდომებით შრომობენ და ღირსეულად იცავენ საამქროს სახელს. მსხმელი თამარ მაისურაძე დავალებას 125 პროცენტით ასრულებს. მოსაწონია მხატვრების მ. კობიაშვილის, მ. ზეინაშვილის და სხვ. შრომითი საქმიანობა.

კომბინატში ბრიგადებს შორის ახალი წლის პირველ დღეებში დაწინაურდა კომუნისტური შრომის მეგუერეთა ბრიგადა, რომელსაც ო. მაჩაიძე უძღვება. ბრიგადამ პირველი დეკადის გეგმიური დავალება ცხრა იანვრისათვის გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 50 ათასი ცალი აგური გამოუშვა. ბრიგადის წევრები აგურის ჩამწყობები ე. შუბითიძე, გ. ძამთაშვილი და აგურის გამომწველი ა. მხეიძე ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

29 იანვარს გაიხსნება საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა

რა შრომითს საჩუქრებს უმზადებთ ყრილობას, რით გაახარებთ დედა-სამშობლოს?

ნ. ვ. პოდგორნი კუბის ტელევიზიით გამოვიდა

ჰავანა, 10 იანვარი. (საკდესი). კუბის რევოლუციის გამარჯვების ხუთი წლისთავის დღესასწაულზე კუბაში ჩამოსული საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი გუშინ საღამოს ჰავანის ტელევიზიით გამოვიდა. ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლას მთელ კუბაში გადასცემდნენ.

კონგრესს ალყა შემოარტყეს

მონტევიდეო, 10 იანვარი. (საკდესი). მრავალი ცდის შემდეგ, რომ სუსხიდია მიეღოთ ტრანსპორტის საჭიროებისათვის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მძღოლებმა თავიანთი ავტობუსებით გადაკეტეს ეროვნული კონგრესის შესასვლელები, სადაც ამ დროს ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობდა.

„ალყის" გამო კონგრესის სხდომა გადაიდო.

იაპონელ კომუნისტთა წარმატება

ტოკიო, 10 იანვარი. (საკდესი). ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უკანასკნელ არჩევნებში არჩეულია 1186 კომუნისტი დეპუტატი. როგორც გაზეთი „აკახატა" იუწყება პრეფექტურების კრებებზე იაპონიის კომუნისტურ პარტიიან წარმოადგენს 22 დეპუტატი, მუნიციპალიტეტებისა და რაიონების კრებებზე — 505 დეპუტატი და დაბებისა და სოფლების კრებებზე — 659 დეპუტატი.

ინდონეზიის მთავრობის წერილი

ნიუ-იორკი, 10 იანვარი. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობამ ბრალად დასდო ინგლისსა და მალაიზიის ფედერაციას ის, რომ მათ აგრესიის აქტები ჩაიდინეს ინდონეზიის ტერიტორიის წინააღმდეგ კალიმანტანის რაიონში. ამ ბრალდებას შეიცავს ინდონეზიის მთავრობის წერილი, რომელიც 8 იანვარს გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს ინდონეზიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალარმა.



ლიბიის კომპარტიის XIV ყრილობა

ვილნიუსი, 9 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ პროფკავშირთა კულტურის სასახლის ახალ შენობაში გაიხსნა ლიტვის კომუნისტური პარტიის XIV ყრილობა. პარტიული ორგანიზაციების წარგზავნილებთან ერთად, რომლებიც რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ, ყრილობას ესწრება მრავალი სტუმარი.

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XIV ყრილობაზე გააკეთა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ი. სნეჩკუსმა.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა სომხეთის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და სამდივნო. სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ი. ნ. ზარობიანი, ცენტრალური კომიტეტის მდივნებად ო. მ. ბაღდასარიანი, გ. ა. ტერ-გაზარიანცი, გ. ტ. არუთინიანი, მ. ს. მელქონიანი, ე. ტ. ასცატრიანი.

საზოგადოებრივ საწყისებზე

ტაჯიკეთის ოპერის თეატრის სარეპეტიციო დარბაზებში მეცადინეობა დაიწყეს ახალგაზრდა მუშებმა, მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა, ტაჯიკეთის მოსწავლეებმა მოყვარულთა პირველ საბალეტო სტუდიაში. იგი თეატრის მსახიობებმა შექმნეს საზოგადოებრივ საწყისებზე. ეს სტუდია ექსპერიმენტულია. მისი შექმნის ინიციატორებს მიაჩნიათ, რომ ამ გზით ისინი შეძლებენ შეავსონ თავიანთი არტისტული ოჯახი. ნიჭიერი ახალგაზრდობით.

სასიხარულო ცნობები

□ **დანკოს ქიმიურ ქარხანაში** (ლიპეცკის ოლქი), მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოო კორპუსი. ამის შედეგად საწარმოს სამძლავრე ერთიორად გაიზარდა. ქარხანა ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელია სილიციუმორგანული შენაერთების პროდუქციისა. მისი კოლექტივი უშვებს მხურვალმედეგ ლაქას. შვიდწლედის ბოლოს წარმოების მოცულობა ექვსჯერ გაიზრდება.

□ **მოგილიოვის** ოლქის ბელინიჩის რაიონში ტორფის დიდ მასივში იქმნება სასუქების ფაბრიკა. იგი უკვე წელს მიაწოდებს კოლმეურნეობებს 20 ათას ტონა ტორფ ფქვილურ - ამიაკურ სასუქს და ამდენივე ფრეზერო ტორფს პარტუყვის საფენად. გაგრთიანება „სოფლტექნიკის" ასეთი საწარმოება ეწყობა კიდევ ოლქის ოთხ რაიონში.

□ **ახალ წელს გამოუშვეს მინერალური სასუქების პირველი დიდი პარტია, რომელიც გეგმის გადამეტებით გამოიმუშავეს დნეპრო-ძერჟინსკის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ქიმიკოსებმა.** ყველა საწარმო უბანზე ნედლეულისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის. პროდუქციის თვითღირებულება მცირდება. ახლა უკვე ამონიუმის გვარჯილა, რომელსაც ქარხანა უშვებს ყველაზე იაფია უკრაინაში.

□ **ჩვენმა მრეწველობამ** ათი ვიტამინ-მინერალური პრეპარატის გამოშვება, რომელიც აუჯობესებს გოჭების, ხბოების, ბატკნებისა და წიწილების ზრდასა და განვითარებას. გარდა ამისა პრეპარატი აღაკვეთს მოზარდულის კუჭ-ნაწლავიანობა და სხვა დაავადების გაჩენას. მას უმატებენ პირუტყვის საკვებში ძალიან მცირე რაოდენობით. პრეპარატი მიღებულია ბიომიცინის, ბიოვეტინისა და ვიტამინ ბე-12 წარმოების ნარჩენებისაგან.

მთელი ძალები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯაბახიშვილის მოხსენება

ამხანაგებო! დღეს აქ იმიტომ შეეკრიბეთ, რომ გაეგიხილოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები, განესაზღვროთ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ, და დაესახოთ კონკრეტული გზები ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მიიღო ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება საშუალებას მოგვცემს ახალი დიდებულ ნაბიჯი გადავდგათ წინ ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის სულ უფრო მეტი აღმავლობის საქმეში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში, მიღებულ დადგენილებაში შეჯამებულია უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შედეგები, ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის რეგიონალიური როლი წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, ჩამოყალიბებული და ღრმად დასაბუთებული სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გრანდიოზული პროგრამა.

ეს იყო ჩვენი ლენინური პარტიის დიდი შესანიშნავი თაობრძა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ საკითხზე. არსებითად, დეკემბრის პლენუმზე კონკრეტულად იყო ჩამოყალიბებული სკკპ პროგრამის დებულებანი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ, დაისახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება დაჩქარებს ამ დიადი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი მიეძღვნა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ქიმიის როლის საკითხის განხილვას, მძიმე ინდუსტრიის ამ პროგრესული დარგის დაჩქარებული განვითარების პროგრამის დამტკიცებას.

ამ საკითხის დაყენების კანონზომიერება შეესაბამებულია საზოგადოებრივი წარმოების პროგრესის მთელი მიმდინარეობით, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით. ეს განსაკუთრებული დამაჯერებლობით გადაგვიშალა თავის მოხსენებაში პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული აღმავლობისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გეგმა განიხილა პლენუმმა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების უკვე მიღწეული ფონის, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მისი წარმატებების ანალიზის საფუძველზე. ცნობილია, რომ ამ წლებში პარტიამ განახორციელა მთელი რიგი რევოლუციური ღონისძიებანი, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი ტოლი შეასრულეს მრეწველობისა და მშენებლობის აღმავლობის ტემპის დაჩქარებაში, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის აღმოფხვრაში. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ ეს იყო სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი ზრდისა და კეთილდღეობის გაშლილ მშენებლობაზე გადასვლის პერიოდი.

სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის განვითარებასთან ერთად ჩქარდება ტექნიკური პროგრესი, ხდება პროგრესული ცვლილებანი წარმოების სტრუქტურაში, განუზომლად იზრდება შრომის ნაყოფიერება ჩვენი ეკონომიკის ყველა დარგში. ქიმიის პროდუქციამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში, სოფლის მეურნეობის ინტენსიურად გაძეოოლისა და სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის პირობების შექმნაში. ხოლო ინტენსიფიკაცია, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა პლენუმზე თავის მოხსენებაში, სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი საკითხია.

დეკემბრის პლენუმზე დაისახა ყოველმხრივ დასაბუთებული მთავარი მიმართულება ქიმიისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის განვითარებაში.

პარტიამ პირველ პლანზე წამოსწია **სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია.** ამოცანა ის არის, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, ქიმიის ფართოდ დანერგვის საფუძველზე, შეექმნათ უახლოეს წლებში კვების პროდუქტების სიუხვე ჩვენს ქვეყანაში, მოვამზადოთ პირობები მატერიალური დოვლათის განაწილების კომუნისტურ პრინციპზე გადასვლისათვის.

სოფლის მეურნეობაში ჭეშმარიტად რევოლუციური ძვრების რაობა ის არის, რომ იმავე ფართობებზე მიეღოთ ერთიოორად მეტი მარცვალი გაცილებით ნაკლები დანახარჯებით. მაგრამ, ვიდრე ასეთი რევოლუცია მოხდებოდეს მინდვრებში, იგი უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა გონებაში. ადამიანებმა კარგად უნდა შეისწავლონ ქიმიის პროდუქტების ყველაზე ეფექტიანად გამოყენების საკითხები, დაიჯერონ მისი ძალა, გადალახონ უძრაობა და გულგრილობა მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების მიმართ.

ქიმიზაციის დიდმნიშვნელოვანი ობიექტებია ის დარგები, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ. პლენუმმა ამოცანად დაგვისახა ქიმიური ბოჭკოებისა და სინთეზური ფისების წარმოების სწრაფი განვითარების და ბუნებრივი ნედლეულის უკეთ გამოყენების საფუძველზე უზრუნველვყოთ ხალხის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საოჯახო და კულტურული საჭიროების საგნებით.

ფართოდ იქნება გამოყენებული ქიმიის პროდუქტები **მანქანათმშენებლობაში, შავ და ფერად მეტალურგიაში, ნავთობის მრეწველობაში, მშენებლობაში, ხისდამამუშავებელ მრეწველობაში.** პლენუმმა მოითხოვა გადაჭრით გავაუმჯობესოთ ქიმიური საწარმოების მშენებლობის ორგანიზაცია. იმ სახსრებიდან, რომლებიც განკლილი ხუთი წლის მანძილზე გამოყოფილი იყო გეგმით ქიმიის განვითარებისათვის, 700 მილიონ მანეთამდე გამოუყენებელი დარჩა. მთელ რიგ შემთხვევებში ქიმიის მშენებლობანი მეორე პლანზე აღმოჩნდნენ. ამის მიზეზია სახსრების დაქსაქსვა მრავალრიცხოვან საჭარო ორგანიზაციებს შორის, რაც ახლაც გრძელდება. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, ქიმიის განვითარებასთან დაკავშირებული დიდი სამუშაოების რაიონებში შეიქმნება მძლავრი სპეციალიზებული სამშენებლო ტრესტები.

მოწინავე ქიმიური ინდუსტრიის შექმნაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა მეცნიერებამ. უკანასკნელ წლებში ჩვენში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქიმიის დარგში მეცნიერული კვლევის ფრონტი. მაგრამ კვლევის ეფექტიანობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. აქ სქემე მატერიალურ რესურსებს კი არ ეხება, არამედ საკვლევ და საცდელ სამუშაოთა მოწყობას. საჭიროა შეიქმნას უკეთესი პირობები მეცნიერების აღმოჩენათა რეალიზაციისათვის, რათა სწრაფად გადაეცეს ისინი ლაბორატორიებიდან სამრეწველო წარმოებაში.

ამრიგად, დეკემბრის პლენუმმა დაამტკიცა ქიმიური ინდუსტრიისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის დაჩქარებული განვითარების ყოველმხრივ დასაბუთებული პროგრამა. მისი წარმატებით შესრულება წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების უმნიშვნელოვანეს პირობას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველს.

ამხანაგებო! ამ აქტივზე ჩვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის ახლანდელი მდგომარეობა, ვისაუბროთ მისი განვითარების პერსპექტივებზე, მთელი სახალხო მეურნეობისა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის შესახებ.

რესპუბლიკაში დიდი ქიმიის შექმნას დასაბამი მისცა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლობამ, რომელიც 1956 წელს ამუშავდა. მანამდე რესპუბლიკაში გვქონდა ერთადერთი, შედარებით მსხვილი, ქიმიური საწარმო — ქუთაისის ლითოფონის ქარხანა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წ.) პლენუმის შემდეგ გათვალისწინებული იყო რესპუბლიკაში დიდი ქიმიის მთელი რიგი ობიექტების შექმნა. ეს უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებდა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის სიმძლავრეთა გაფართოებას და გაზრდას, კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის შექმნას, სინთეზური ბოჭკოს ქარხნის შექმნას, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის გაფართოებას და სხვ.

თუ შევეჯამებთ მიმდინარე შვიდწლედის ხუთი წლის მუშაობის შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა და მშენებლებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ზნეშველოვანი მუშაობა განახორციელეს ქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში, რამაც უზრუნველყო ქიმიური მრეწველობის მსხვილი საწარმოო სიმძლავრეების ამუშავება.

დამთავრდა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოება, მწყობრში ჩადგა კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსი, ამონიუმის სულფატის წარმოების სიმძლავრე, სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელი წარმოება. ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში მნიშვნელოვნად გადიდდა ლითოფონისა და შაბიამნის წარმოების სიმძლავრე, დამთავრდა ჩორდის ბარიტის მაღაროს მშენებლობა და სხვ.

შვიდწლედის გასული წლების მანძილზე რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის საშუალოწლიურმა ტემპმა შეადგინა 12,1 პროცენტი, მაშინ როცა მთელი მრეწველობის ზრდის საშუალო წლიური ტემპი 7,4 პროცენტი იყო, რაც რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობის უწინარეს განვითარებას მოწმობს. მაგრამ არ შეიძლება თვალი ავარიდოთ ამ ფაქტს, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში არ შესრულდა შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული დავალება როგორც წარმოების მოცულობის, ისე საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავებისა. ხუთი წლის მანძილზე ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა 1,7-ჯერ, საკონტროლო ციფრებით კი გათვალისწინებული იყო 2,5-ჯერ გაზრდა.

ქიმიური მრეწველობის ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმა წლიდან წლამდე არ სრულდებოდა და 1963 წელს ძლიერ ჩამოვრჩით სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაში.

საპროექტო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაობაში ნაკლოვანებათა გამო რუსთავის აზოტოვანი

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იტალიის თანამშრომლობის გეგმას

მოსკოვი, 9 იანვარი. (საკდესი). საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გორშკოვმა და „იტალია-სსრ კავშირის" საზოგადოების გენერალურმა მდივანმა, იტალიის დეპუტატმა პ. ალტრიმ დღეს ხელი მოაწერეს 1964 წლის კულტურული თანამშრომლობის გეგმას.

ახალი გეგმის შესაბამისად უახლოეს თვეებში რომში ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა და იტალიელი არქიტექტორები, რათა განიხილონ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის განვითარების საკითხები. შემოდგომაზე გათვალისწინებულია მოსკოვში მოეწყოს სემინარი თანამედროვე ისტორიოგრაფიის საკითხებზე, ხოლო მილანში — სიმპოზიუმი თემაზე „ავტომატიზაცია და მისი სოციალური ასპექტები". ამ საკითხთა შორის, რომლებიც დასახულია ერთობლივი განხილვისათვის, არის „საბჭოთა და იტალიური თეატრის განვითარების გზები", „საბჭოთა მშრომელების მონაწილეობა წარმოებისა და დაგეგმვის ორგანიზაციაში".

„სსრ კავშირ-იტალიის" და „იტალია-სსრ კავშირის" საზოგადოებანი შეთანხმდნენ გაცვალონ თავიანთი წარმომადგენლებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დელეგაციები. პირველად ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებულ ეკვსთვიან კურსებზე ისწავლის რუსული ენის 40 იტალიელი მასწავლებელი და სტუდენტები, რომლებმაც გაიმარჯვეს კონკურსში საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების შესახებ, რომელიც მოაწყო „იტალია-სსრ კავშირის" საზოგად

საქართველოს კპარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

მთელი ძალები—სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

(დასასრული)

სასუქების ქარხანაში გაჭიანურდა კაპროლაქტამის წარმოების გამართვის სამუშაოები.

ამჟამად რესპუბლიკის მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და ქიმიკოსებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ შეიდწლეულის დარჩენილი ორი წლის განმავლობაში უზრუნველყონ შეიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ახალი საწარმოების მშენებლობისა და მოქმედი საწარმოების გაფართოების შედეგად რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საერთო პროდუქცია 1965 წელს 1958 წელთან შედარებით 3,7-ჯერ გაიზრდება. ამავე დროს მისი ხვედრითი წონა მრეწველობის მთელ პროდუქციაში მაინც მცირე რჩება.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სახალხო მეურნეობის საბჭომ სხვა უწყებებთან და განსაკუთრებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უნდა შეიმუშაონ საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობის განვითარების 1966-1970 წლების გეგმის პროექტი. ეს გეგმა, უწინარეს ყოველისა უნდა ეყრდნობოდეს ბუნებრივი გაზის მაქსიმალურ გამოყენებას, აგრეთვე ისეთ სახეობათა ნედლეულის რესურსების გამოყენებას, როგორიც არის: ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ნავთობპროდუქტები და გაზები, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსის გაზი და კოქსქიმიური პროდუქტები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმავალი გაზები, პირიტის, სპილენძისა და თუთიის კონცენტრატები, რომლებსაც მადნეულის საბადოს მადნის გამდიდრებისას მივიღებთ, იოდბრომის წყლები, მანგანუმის მადანი, ბარიტი და სხვა სახეობის მინერალური ნედლეული.

მაგრამ უკვე ახლა შეიძლება გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, რომელთა რეალურობა ცხადია.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოების გადიდება.

როგორც ცნობილია, ამჟამად რესპუბლიკის მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე სავსებით როდი კმაყოფილდება. მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი კულტურები მოკლებულია სასუქებს ანდა უზრუნველყოფილია მეტად უმნიშვნელო ოდენობით. ამიერიდან მოთხოვნილება სასუქებზე მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ამასთან დაკავშირებით, რომ უფრო მიზანშეწონილია გადიდდეს აზოტოვანი სასუქების წარმოება მოხმარების ადგილებში, არსებული გაზსადენის ქსელის ბაზაზე და, უწინარეს ყოვლისა, მოქმედ საწარმოთა გაფართოების გზით, გათვალისწინებულია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში 80 პროცენტით გადიდდეს ამიაკის საწარმოს სიმძლავრე და მოეწყოს კარბამიდის (შარდოვანას) წარმოება. ეს სამუშაოები დაიწყება 1965 წელს.

მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის, ვიდრე სასუქებს.

ქუთაისის ლითოფონის ქარხანა ვერ უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოთხოვნილებას შაბიამანზე. ამიტომ გათვალისწინებულია მოეწყოს შაბიამნის წარმოება ავტოკლავური წესით მადნეულის სპილენძის კონცენტრატებისაგან.

ცნობილია, რომ იმ პოლიმერული მასალების ფართოდ გამოყენება მრეწველობაში, რომელსაც მეტად ძვირფასი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები აქვთ, ათავისუფლებს დიდძალ შავ და ფერად ლითონებსა და მერქანს.

უკვე ახლა გარკვეულ ეკონომიურ ეფექტს აძლევს სახალხო მეურნეობას ის, რომ პლასტმასები გამოყენებულია რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. ისეთ საწარმოებში, როგორიც არის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა და სხვა, პლასტმასის დეტალები ათ შეიცვალა ფერადი და შავი ლითონებისაგან დამზადებული დეტალები.

ქიმიის განვითარება აგრეთვე დიდ შეხაძლებლობებს სახავს მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის, მისი ვადებისა და ღირებულების შემცირებისათვის.

საშენი მასალების წარმოებისათვის პოლიმერების გამოყენების დიაპაზონი მეტად ფართოა. ისაწყოს რკინაბეტონთან შეხამებით, რომელიც კვლავ თანამედროვე ინდუსტრიული მშენებლობის საფუძველია, პოლიმერები წარმატებით უწევენ კონკურენციას ლითონს, ხეს, ქაშანურს, მინას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში და მშენებლობებზე ჯერ კიდევ მეტად ნელა ხორციელდება ქიმიზაცია. მცირე რაოდენობით იყენებენ პოლიმერულ მასალებს მრეწველობასა და მშენებლობაში. საწარმოებში დიდი დაგვიანებით ინერგება შავი და ფერადი ლითონების დეტალების პლასტმასის დეტალებით შეცვლის ბევრი ღონისძიება, რომელსაც სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები აშუშავებენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ერთადერთი თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ქარხნის სიმძლავრე უკვე ვეღარ აკმაყოფილებს მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის მოთხოვნილებას, დასახულია დიდ მანქანათსამშენებლო ქარხნებში ამჟამად არსებულ საამქროთა გაფართოებასთან ერთად შეიქმნას სპეციალიზებული საწარმოები. ამას გარდა, გათვალისწინებულია გაფართოვდეს თბილისის პლასტმასის ქარხანა და წულუკიძის პოლიმერული მასალების ქარხანა.

იმისათვის, რომ დიდი მასშტაბით განხორციელდეს პლასტმასის ნაკეთობათა წარმოება, საჭიროა შეიქმნას შესაბამისი საკუთარი ნედლეულის ბაზა. ამის შესაძლებლობა რესპუბლიკას აქვს.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კარბამიდისა და კაპროლაქტამის ბაზაზე გათვალისწინებულია მოეწყოს კარბამიდისა და პოლიამიდის ფისების, მელამინისა და ამინოპლასტის პრესფხვნილის წარმოება, ხოლო წყალბადიანმოქაჟას საამქროს გაფართოების გზით — ორგანული მინის წარმოება.

დასახულია ქალაქ ბათუმში მოეწყოს ისეთი ძვირფასი პოლიმერების წარმოება, როგორიც არის პოლიეთილენი და პოლიპროპილენი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პროდუქტებისაგან. გათვალისწინებულია პლასტმასების წარმოება მოეწყოს ტყიბულის საბადოს ლიპტობიოლითის ფისოვანი ქვანახშირის გადამუშავების ბაზაზე.

რესპუბლიკის მოთხოვნილება ლაქსაღებავის პროდუქციაზე სულ უფრო იზრდება. ამიტომ საჭიროა საქართველოში შეიქმნას დიდი ლაქსღებავის საწარმო ახლანდელ წვრილ, ნახევრად შინამრეწველურ წარმოებათა ნაცვლად, რომელიც წინათ აღგილობრივ მრეწველობას ეკუთვნოდა. გათვალისწინებულია უფრო გაფართოვდეს ქუთაისის ლითოფონის ქარხანა. მშრალი ლითოფონის გამოშვება აქ 1,5-ჯერ გაიზრდება. გარდა ამისა მოეწყობა მშრალი თუთიის თეთრის დიდი წარმოება. დიდი მნიშვნელობა აქვს ლითოფონის ქარხნის ნედლეულის ბაზის გაფართოებას, მით უმეტეს, რომ ამჟამად არის შემთხვევები, როცა შეფერხებაა ბარიტის მიწოდებაში, ხოლო მისი ხარისხი ყოველთვის როდი შეესაბამება ქიმიური მრეწველობის მოთხოვნებს.

ქიმიური მრეწველობის განვითარების ამ დიდი ამოცანების განხორციელება ჩვენს რესპუბლიკაში, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს, მოითხოვს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ აამაღლოს ქიმიური საწარმოების ხელმძღვანელობის დონე, რათა უზრუნველყოფილ იქნას საწარმოო გეგმების შესრულება, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, დაინერგოს ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, გაუმჯობესდეს ქიმიურ საწარმოთა ხელმძღვანელობის ფორმები სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატში.

სახალხო მეურნეობის საბჭოს, აგრეთვე რუსთავის პარტიული, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს უნდა გაეთმჯობესონ და მნიშვნელოვნად გააფართოონ აგროქიმიური ლაბორატორიების საქმიანობა. საჭიროა ფართოდ ჩავაბათ ამ მუშაობაში ყველა სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება და უმაღლესი სასწავლებლები. ამასთან უახლოეს წლებში დავამთავროთ აგროქიმიური კარტოგრამების შედგენა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

მინერალური სასუქების ეფექტიანად გამოყენება უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ მომჭირნეობით შევინახოთ და გადავზიდოთ ეს სახალხო ეკონომია. მაგრამ ამ საქმეში ბევრი ნაკლი და უყაირათობაა. ხშირად მიხერალური სასუქი ღია ცის ქვეშ ინახება, რის გამო ფუჭდება, იფიტება; არ მოიპოვება სათანადო სასაწყობო სადგომები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე გვერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ბაზებში.

სამწუხაროდ, საწარმოო სამმართველოები და პარტიული კომიტეტები ურიგდებიან ასეთ მდგომარეობას. ეს, ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მფლანგველობაა, რაც დანაშაულს უდრის“. ამას ბოლო უნდა მოეღოს, მკაცრად უნდა დავსაჯოთ მეურნეობათა ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი პირები სასუქების დაუდევრად შენახვისა და გაფუჭებისათვის.

უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების მძლავრი რეზერვია აღგილობრივი ორგანული სასუქები: ნაკელი, ტორფი, კომპოსტები, სიდერატები, მინერალური და ორგანული სასუქების ერთმანეთთან შეხამებით გამოყენება ყოველთვის იძლევა მოსავლის ყველაზე დიდ მატებას.

მიწათმოქმედების ქიმიზაცია გულისხმობს ბრძოლის ყოველნაირად გაჩაღებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ და სარეველების მოსასპობად. ამისათვის კი საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ მცენარეთა დაცვის ეფექტიანი ქიმიური საშუალებანი.

ცნობილია, რომ ხილის მოსავლის დიდი სიმცირე იმის შედეგია, რომ დროულად და ხარისხოვნად არ ხორციელდება ბაღების მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებანი. ამავე მიზეზის გამო ჩვენ ცუდი ხარისხის პროდუქციას ვიღებთ. ამავე დროს, იქ, სადაც ახორციელებენ მცენარეთა დაცვის ღონისძიებებს და ფართოდ იყენებენ ქიმიურ საშუალებებს, შესანიშნავი შედეგებია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სურის მეხილეობის საცდელი სადგური, სადაც მავნებელთა თითქმის სრულ ლიკვიდაციას მიაღწიეს. ფრიად ეფექტური გამოდგა ჰერბიციდების გამოყენება სარეველების წინააღმდეგ მარცვლეული კულტურების ნათესებში.

ყველამ იცის, რომ ხეხილის ბაღები მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებათა სისტემატურ განხორციელებას მოითხოვენ, რომ მხოლოდ ამ პირობით შეიძლება უხვი მოსავლის მიღება. და მიუხედავად ამისა გორისა და მცხეთის კაიონის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზოგიერთი სხვა რაიონების ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სწორედ იმის გამო კარგავს მოსავალს, რომ არ აწარმოებს ბაღების მკურნალობას.

ფაქტები მოწმობენ, რომ თვით ისეთ არახელსაყრელ წელიწადსაც კი, როგორიც გასული წელი იყო მევენახეობისათვის, მრავალჯერადი მკურნალობის გზით შესაძლებელია უხვი მოსავლის მიღება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში შარშან შეიქმნა 12 რაზმი სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან საბრძოლველად. მაგრამ ამ რაზმებმა შარშან მთლიანად ვერ გამოიყენეს არსებული ტექნიკა და სანახევროდაც ვერ შეასრულეს ბაღების კურნალობის გეგმა.

ქიმიზაცია მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების დიდ შესაძლებლობებს ქმნის; უხვში საკვების დამუშავების ქიმიურ საშუალებათა გამოყენება, ქიმიური მრეწველობის პროდუქტებით რაციონების გამდიდრება საშუალებას მოგვცემს საკვების იმავე რაოდენობით მივიღოთ გაცილებით მეტი მეცხოველეობის პროდუქცია. საკვების დაკონსერვებისათვის ქიმიური საშუალებათა გამოყენება ამცირებს დანაკარგს, აუმჯობესებს საკვების ნოყიერებას და უზრუნველყოფს მის ხანგრძლივ შენახვას. მაგრამ ამ პრეპარატების წარმოება და მათი ფართოდ გამოყენება ჯერ კიდევ არ არის დაყენებული დამაკმაყოფილებლად.

სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, საცდელმა სადგურებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა შეიმუშაონ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციასთან დაკავშირებული მეცნიერული პრობლემები; ისინი სათავეში უნდა მიუდგნენ კაჟრების მასობრივ სწავლებას და პროგრესული მეთოდების დანერგვას ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამასთან დაკავშირებით ყოველგვარი ხელოვნური ღირსება შესანიშნავი თაოსნობა სიღნაღის კოლმეურნეობის საწარმოო სამმართველოს მრომელებისა, რომლებმაც გადაწყვიტეს მასობრივად შეასწავლონ კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო ქიმიის საფუძვლები.

„მარტო იმ პირობით, — ამბობს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, — როდესაც მშრომელთა ფართო მასებს ეცოდინებათ, თუ რას იძლევა ქიმია, ეცოდინებათ ქიმიური გზით შექმნილი მასალების თვისება და ხარისხი, მათი უნარიანად გამოყენება. შეიძლება გამოვიყენოთ ის მდიდარი შესაძლებლობანი, რომლებსაც ქიმია იძლევა“.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ინიციატივა საყოველთაო ქიმიური სწავლების ორგანიზაციის შესახებ და ურჩია პარტიის სოლჩენ კომიტეტებს, პარტიულ კომიტეტებს და საწარმოო სამმართველოებს ფართოდ გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო ქიმიის საფუძვლების სწავლება სოფლის ყველა მრომელისათვის თვითეულ მეურნეობაში ქიმიზაციის სკოლების შექმნის გზით.

დღითიდღე ფართოვდება ლაშქრობა სოფლის მრომელთა საყოველთაო-სავალდებულო ქიმიური სწავლებისათვის. ქიმიის ცოდნის პროპაგანდა ერთი დღის საქმე როდია. ამ მუშაობის ღრმად და მიზანსწრაფულად წარმოება პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

1964 წელს გათვალისწინებულია გადიდდეს მთელი მარცვლეული კულტურების მოსავალი 900 ათასზე მეტ ტონამდე, ეს 364 ათასი ტონით მეტია იმაზე, რაც აღებული იყო გასულ 1963 წელს.

1964 წლის გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფოს მიეყიდოს: ჩაის ფოთოლი — 175 ათასი ტონა, ხილი — 130 ათასი ტონა, ყურძენი — 215 ათასი ტონა, ციტრუსოვანთა ნაყოფი — 45 ათასი ტონა, თამბაქო — 18 ათასი ტონა, ზორცი — 55 ათასი ტონა, რძე — 130 ათასი ტონა, კვერცხი — 85 მილიონი ცალი, ბრეშუმის პარკი — 4.100 ტონა, ბოსტნეული — 90 ათასი ტონა და ა. შ.

მომდინარე წლის დავალება 1963 წლის გეგმაზე გაცილებით მაღალია. ჩვენმა სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ყველა ღონისძიება უნდა მიიღონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ შეიდწლედის ბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ საჭიროა ორი უკანასკნელი წლის დავალებების უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

სოფლის მეურნეობის ფართო ქიმიზაცია და მექანიზაცია, მიწების რაციონალური და ინტენსიური გამოყენება საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავადიდოთ მარცვლის, ჩაის, ხილის, ყურძნის, ციტრუსების, ბოსტნეულის წარმოება და დამზადების მოცულობა. ამიტომ საჭიროა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, ცეკავშირმა და ვაჭრობის სამინისტრომ უკვე ახლა დასახონ და განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მისაღებად, შესანახად და გადასამუშავებლად, რათა თავიდან ავიცილოთ გაფუჭებისა და დანაკარგების ყოველგვარი შესაძლებლობა.

შემდეგ გ. დ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თუ რა ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის განვითარებაში: არ სრულდება ვენახის გაშენების, ჩაისა და ციტრუსოვანთა გაშენების, გეგმები, ნელა მატულობს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და სხვ. მომხსენებელი ამბობს, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გაიმალოს ცალკეულ ხელმძღვანელთა უყაირათობისა და დაუდევრობის წინააღმდეგ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კომუნისტებისა და სოფლის ყველა მშრომელთა ძალღონე უნდა წარმართონ იმისაკენ, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული შესაძლებლობანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა ქიმიის გამოყენებით და უზრუნველყონ მინდვრების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდება.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა განაგრძობს ორატორი, თავის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქიმიის მეცნიერების განვითარების საკითხს. საყოველთაო მოწონება გამოიწვია მისმა მითითებებმა, რომ საჭიროა ამაღლდეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა როლი ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების ამოცანის გადაჭრაში.

უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში გაწეულია გარკვეული მუშაობა, რომლის მიზანია ახალ სახეობათა ნედლეულის გამონახვა, ადგილობრივი ნედლეულისაგან ქიმიური პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ახალი, ორიგინალური ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება და სხვ.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი სამუშაოები, როგორიც არის ყალიუმის პერმანგანატის და მანგანუმის აქტიური ორანგის მიღების ახალი ხერხები, ტყიბულის ლიპტობიოლითური ქვანახშირისა და ფიქლების გამდიდრება მათგან პრესფხვნილის მისაღებად, გოგირდმჟავას გამოუყენებლად შაბიამნისა და თუთიის აჭასპის მიღების ავტოკლავური წესი, მცენარეული ნედლეულისაგან ახალ სახეობათა ორგანულ-მინერალური პრეპარატების მიღება. ახალ სახეობათა ლუმინოფორების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, წვრილფოროვანი ცეოლითების მიღება და სხვ. ზოგიერთმა ამ სამუშაომ საკვანძო ორგანოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას რომ ქიმიური პროფილის სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობაში ბევრი არსებითი ნაკლია. საჭიროა სამეცნიერო კადრების ღონისძიებანი მოვახმაროთ სამუშაოთა გაფართოებას ახალი მიმართულებებით და რესპუბლიკისათვის აქტუალური პრობლემების შემუშავებას. მხედველობაში მაქვს ისეთი მიმართულებანი, როგორიც არის ორგანული სინთეზი, პოლიმერების ქიმია, სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია ბუნებრივი გაზის, ნავთობის გადამუშავების პროდუქტების, შავი და ფერადი მეტალურგიის ნარჩენების კომპლექსური გადამუშავების ბაზაზე, განსაკუთრებით სუფთა ქიმიური პროდუქტების, აგრეთვე ადგილობრივი ნედლეულისაგან ლაქებისა და საღებავების მიღების კვლევა, ბუნებრივი პიგმენტების გამოყენება და სხვა.

დღემდე ჯერ კიდევ არ არის სამუშაოთა ზუსტი სპეციალიზაცია და დაპროფილება რესპუბლიკის წამყვან ინსტიტუტებში, კვლავ არის მრავალთემიანობა და მეცნიერული კვლევის უსაფუძვლოდ გაჭიანურება.

სერიოზული მუშაობა უნდა შეასრულოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომაც იმისათვის, რომ გადასინჯოს ქარხნების ცენტრალურ ლაბორატორიათა სტრუქტურა და განამტკიცოს ისინი ქიმიკოსებისა და ტექნოლოგების კვალიფიციური კადრებით, აგრეთვე აღჭურვოს თანამედროვე აპარატურით, ხელსაწყოებითა და საჭირო რეაქტივებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინშნა, რომ საჭიროა სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა მუშაობისათვის უკეთესი პირობები შეიქმნას ინსტიტუტების, ლაბორატორიების ექსპერიმენტული ბაზების განმტკიცებისა და უახლესი მოწყობილობითა და ქიმიურად სუფთა რეაქტივებით მათი უზრუნველყოფის გზით, და განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ „საჭიროა სრული გასაქანი მიეცეს ქიმიის მეცნიერებას, აღმოიფხვრას ყველა ბიუროკრატული დაბრკოლება, რომლებიც აფერხებენ მის განვითარებას“.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დიდი ყურადღება უნდა დუთმონ სამეცნიერო დაწესებულებათა დაფინანსების საკითხებს.

მშენებლობის სამინისტროს მიზეზით მეორე წელია ჭიანურდება ქიმიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბაზის მშენებლობის დამთავრება ლილოში, რის შედეგად ამ ბაზისათვის შეძენილი 125 ათასი მანეთის მოწყობილობა უქმად დარჩა. მშენებლობის სამინისტროს და პირადად ამხ. ქართველიშვილმა უთანხმოდ გადაუდებელი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ, რათა უსწრაფესად დაამთავრონ ამ ბაზებისა და მეცნიერების სხვა ობიექტების მშენებლობა.

გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტს სულაც არა აქვს ექსპერიმენტული ბაზა. ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლობის გამო ჭიანურდება ქიმიის ინსტიტუტის შენობის მშენებლობა.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის აგრეთვე დამთავრებულ მეცნიერულ-კვლევით საშუალოთა დანერგვისა და, პირველ რიგში, საცდელ-სამრეწველო დანადგარების მშენებლობის საქმე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, მშენებლობის სამინისტრომ და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სსრ ფოლადის ინსტიტუტთან ერთად ერთ-ერთ ადგილზე ერთად ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე

საერთაშორისო
დეკემბრის ცხელკალი ბიუროსიერა
ცხოვრება

მაღლობა საბჭოთა ხალხს

მიტინგი ასუანში

კაირო, 10 იანვარი. საკადესის კორესპონდენტი ნ. ხოლოგიროვი იტყობინება:

უზარმაზარ აღმოსავლურ კარავში, რომელიც გაშლილია იმ ადგილზე, სადაც ოთხი წლის წინათ ასუანის ჰიდროკვანძს ჩაეყარა საფუძველი, მაღლივი კაშხალის მშენებელთა მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა.

ასუანის გუბერნატორმა დოქტორმა ეზა ხალაბამ, რომელმაც მიტინგი გახსნა, თქვა: „ჩვენ ვადიდებთ ეგიპტელი და საბჭოთა ხალხების ერთობლივ, შემოქმედებითს შრომას. ამ შრომამ უკვე გამოიღო ნაყოფი, მისი შესანიშნავი შედეგი იქნება ასუანის მაღლივი კაშხალი, რომელიც განსახიერებს ჩვენი ხალხის საუკუნეობრივ ოცნებას“.

ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის საქმეთა მინისტრი სიდი სოლიმანი მიესალმა საბჭოთა დელეგაციას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ს. ა. სკაჩკოვის მეთაურობით, რომელიც მშენებლებს ესტუმრა.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა საბჭოთა სპეციალისტს მათი თავდადებული, გმირული მუშაობისათვის, თქვა სიდი სოლიმანმა, მადლობა გადავუხადო საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მთავრობას ჩვენი ხალხის უანგარო დახმარებისათვის.

მინისტრმა ილაპარაკა გამარჯვებებზე, რომლებიც მშენებლებმა მოიპოვეს. მან თქვა, რომ პირველი რიგის ნაგებობათა დამთავრებამდე 127 დღე დარჩა. ამის პასუხად ათასობით ადამიანი, თითქოს ფიცს სდებენო, ერთხმად იმეორებდა სიტყვებს: „დღე და ღამე ვიმუშავებთ, მაგრამ კაშხალს დროზე დავამთავრებთო“. და ამ ფიცის გამოძახილად სამშენებლო მოედანზე მძლავრმა აფეთქებებმა დაიქუხა. დღეს ჰიდროკვანძის მშენებლობამ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს: ააფეთქეს გვირაბების უკანასკნელი ქვედა საფეხურები. გვირაბების გაყვანა დამთავრდა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ს. ა. სკაჩკოვმა. საბჭოთა ადამიანები, — თქვა მან,— ამაყობენ იმით, რომ ჩვენი ქვეყანა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან ერთად მონაწილეობს მეგობრობისა და მშვიდობის მშენებლობის — ასუანის კაშხალის აგებაში.

მიტინგის დასასრულს მინისტრმა სიდი სოლიმანმა, ტაშის გრიალში, ვლადიმერ ხარკინის ბრიგადის სახელგანქმულ მეექსკავატორეებს გადასცა მედლები „დამსახურებისათვის“. ამ ბრიგადამ პირველმა ამოიღო მილიონი კუბური მეტრი ქანობი არხის კალაპოტიდან.

ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებელთა მიტინგმა კიდევ ერთხელ ცხადყო მათი „დადუმებული“ — ვადაზე, 15 მაისისათვის დამთავრონ კაშხალის პირველი რიგის მშენებლობა.

მილიონობით გაჭირვებული

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. საკადესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა წერილში თავისი ქვეყნისადმი აღიარა, რომ ბევრი ამერიკელი ცხოვრობს ისე, რომ „ცოტა იმედი აქვს, ზოგიერთს თავისი სიღარიბის გამო, ზოგიერთს კანის ფერის, ძალიან ბევრს კი ორივე ამ მიზეზის გამო“.

უკანასკნელ ხანს ამერიკის პრესა სულ უფრო ხშირად გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება სიღატაკე — სულ უფრო მეტია გაჭირვებული, უმუშევარი, რომლებიც უკიდურესი სიღატაკის პირობებში ცხოვრობენ.

გაჭირვებულთა რიცხვი, გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ აღიარებით აღწევს 40 მილიონ კაცს. სტატიაში „სიღატაკე ფოკუსში“ „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ წერს, რომ დღეს ღატაკებს ამერიკაში უფრო ცუდი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე 10-15 წლის წინათ.

ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ამერიკის ყველა ოჯახის მეხუთედის შემოსავალი ნაკლებია „ყველა შესაძლებელ სტანდარტთან შედარებით“ და ამასთან ეს შემოსავალი გასუწყვეტლივ მცირდება.

უფრო მეტიც, „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ღარიბი გადასახადის გადამხდელები ფაქტიურად იხდიან უფრო დიდ გადასახადს, ვიდრე ისინი, ვისი შემოსავალიც ათჯერ მეტია.

საერთო მონაცემებს უმუშევარი და გაქირვებული ოჯახების შესახებ არ შეუძლიათ სრულად დასატონ დიდი სივიწროვის, სიბინძურის, ანტისანიტარული პირობების, ხელმოკლეობის სურათი, რომლებშიც ცხოვრობს მილიონობით ამერიკელი. მაგრამ აი რამდენიმე ციფრი, რომლებიც მოჰყავს გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელს“. ამერიკის ზანგთა ოჯახების ნახევარს ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე ორჯერ ნაკლები შემოსავალი აქვს. 1,2 მილიონი ღატაკი ოჯახი ცხოვრობს ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, ფილადელფიის, დეტროიტისა და თვით ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ— ვაშინგტონის ჯუფრმულებში. ნიუ-იორკში, მაგალითად, ახალშობილ ზანგ ბავშვთა სიკვდილიანობა ერთიორად მეტია, ვიდრე თეთრკანიანი ბავშვებისა.

„უოლ-სტრიტ ჯორნელის“ აღიარებიდან ჩანს, რომ ამ ადამიანთა ცხოვრების მდგომარეობის შემსუბუქებისათვის პრაქტიკულად არაფერი კეთდება. არც აპალაჩია უკეთესი ცხოვრება. ამ რაიონში შედის ცხრა შტატი და მეშახტეთა ოჯახების თითქმის მესამედი — 1,3 მილიონი იღებს ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე ორჯერ ნაკლებ შემოსავალს.

ამერიკაში სიღატაკის ზრდა ეროვნული მასშტაბის პრობლემაა. ახლა არც ერთ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსს არ შეუძლია დუმილით აუაროს გვერდი ამ ფაქტს.

აი ამის მიხედვით უნდა განვიხილოთ პრეზიდენტ ჯონსონის მოწოდება, რომ სიღატაკეს გამოეცხადოს „გადამწყვეტი ომი“.

საბჭოთა დელეგაცია კუბაში

ჰავანა, 9 იანვარი. (საკადესი). საკადესის, „პრავდისა“ და „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტები სანტიაგო-დე-კუბიდან იუწყებიან:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამბ. ნ. ვ. პოდგორნი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის მეორე მდივანი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო, საბჭოთა დელეგაციის წევრები და ორიენტეს პროვინციის ხელმძღვანელები, რომლებიც მათ ახლავან მოგზაურობაში, გუშინ დილით მანსანილოდან სანტიაგოში ჩავიდნენ. პირდაპირ აეროპორტიდან ისინი გაემართნენ იმ ადგილისაკენ, სადაც ამჟამად მდებარეობს სახალხო მაშული „სიბონეი“.

შემდეგ სტუმრები მანქანებით წავიდნენ ქალაქის იმ რაიონში, სადაც მდებარეობს მონკადა. იგი ყუზარმა კი აღარ არის, არამედ სკოლაა. ბავშვებით გარემოცულნი, მისასალმებელ შეძახილებში სტუმრები მიემართებიან სკოლის დარბაზისაკენ, რომელიც მორთულია ლოზუნგით: „გაუმარჯოს კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“

ამხანაგი პოდგორნი საბჭოთა პიონერების სახელით ძმურად მიესალმა მოსწავლეებს, უსურვა მათ წარმატებანი სწავლასა და ცხოვრებაში. კუბელმა მოსწავლეებმა და მათმა სტუმრებმა ერთმანეთს გაუცვალეს საჩუქრები, სუვენირები, ნიშნები.

დღის სამი საათია. ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი, რაულ კასტრო და საბჭოთა სტუმრები მიდიან სანტიაგოს ერთ-ერთ უდიდეს საწარმოში. აქ გაიმართა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი ქალაქის სხვა სამეფოდან საწარმოთა მშრომელების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მშრომელთა სახელით საბჭოთა სტუმრებს მიესალმა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ანხელო ვიეიენი. კუბა-საბჭოთა კავშირის მზარდ მეგობრობაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ორიენტეს პროვინციული კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამბ. არმანდო აკოსტამ.

მხურვალედ და ერთსულოვნად დაუკრეს ტაში ორატორს მიტინგის მონაწილეებმა. „ვივა!“ — გაისმის დარბაზში, — „ვივსეერემოს!“ („ჩვენ გავიმარჯვებთ!„).

შემდეგ სიტყვა მიეცა ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის. როცა მან თავისი გამოსვლა დაამთავრა, დარბაზში კვლავ იქუხა ოვაციამ. მიტინგის ყველა მონაწილე ფეხზე დგება და ხელიხელჩაკიდებული „ინტერნაციონალს“ მღერის.

საღამოს თვითმფრინავი, რომელშიც იყვნენ ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი, რაულ კასტრო და საბჭოთა დელეგაციის წევრები, სანტიაგო-დე-კუბის აეროდრომიდან აფრინდა და კურსი ჰავანისაკენ აიღო.



ეს კარიკატურა, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჰავანის გაზეთ „ნოტიხიას დე ოიში“, ახასიათებს მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთებას ჯ. კენედის მკვლელობის გამოძიების გაჭიანურების გამო. „ულტრები“ ავტომობილით მიმჭრიან, ხოლო გამოძიების ფედერალური ბიურო კუზე ამხედრებულა.

ოფოდება განიარაღებისათვის

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკადესი). მსხვილმა ამერიკელმა ფინანსისტმა, პრეზიდენტ კენედის უოფილმა მრჩეველმა განიარაღების საკითხებში ჯონ მაკლოიმ საჭიროდ ცნო განიარაღება. ნიუ-იორკის საკავშირო პალატის კრებაზე მაკლოიმ განაცხადა, რომ სამხედრო ძალიერება არ შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების საკმარისი საფუძველი იყოს. ატომური ომი, თქვა მან, ეროვნული პოლიტიკის მისაღები ინსტრუმენტი როდია. უაზრობად მიმაჩნია, განაგრძო მან, რომ ჩვენ უფრო სწრაფი ტემპით არ ვახორციელებთ ბალანსირებულ და ქმედითს აქტებს განიარაღებისათვის.

ნიასალენდი განახორციელებს მიუმხრობლობის პოლიტიკას

ლონდონი, 9 იანვარი. (საკადესი). ნიასალენდი, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, განახორციელებს მიუმხრობლობის პოლიტიკას, განაცხადა ნიასალენდის პრემიერ-მინისტრმა ჰესტინგს ბანდამ, საკანონმდებლო საბჭოს სხდომაზე, რომელიც გუშინ გაიმართა, იუწყება რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ზომბიდან.

თავის გამოსვლაში ჰესტინგს ბანდამ განაცხადა, რომ მან მოუწოდა ინგლისს მთავრობას რაც შეიძლება მალე მიანიჭოს ნიასალენდს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.

მილტონ ობოტე: ჩვენ კაპიტალიზმის წინააღმდეგი ვართ

ნაირობი, 8 იანვარი. (საკადესი), ჩვენ გადავწყვეტეთ მივყვეთ სოციალისტური განვითარების გზას. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ახრები და ჩვენი მოქმედება ამავე მიმართულებით უნდა წარიმართოს. სოციალისტური მოქმედების ელემენტებია დისციპლინა, წესრიგი, კონტროლი და დაგეგმვა, განაცხადა გუშინ უგანდის პრემიერ-მინისტრმა მილტონ ობოტემ, რომელიც ლანგოს რაიონში (ჩრდილოეთი უგანდა) მოგზაურობს.

როგორც პრესა იუწყება, პრემიერ-მინისტრმა თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო ერთპარტიული სისტემის საკითხს. ობოტემ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ უგანდაში არსებობს სხვადასხვა დაჯგუფებანი, რომელთა ძირითადი მიზანია ოპოზიცია შეუქმნან მთავრობას. უკამაკი პოლიტიკური პარტიის არსებობა უგანდაში, თქვა მან, ხელს უშლის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას. ორგანიზებული ოპოზიცია მთავრობისადმი ტიპიური კაპიტალისტური ცნებაა.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ერთპარტიული სახელმწიფოს სისტემა სრულებითაც არ თავსილისწინებს იმას, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ინდივიდუალური აზრისა და კონსტრუქციული კრიტიკის გამოთქმის შესაძლებლობა.

საფრანგეთი ემზადება ატომური იარაღის გამოცდისათვის

პარიზი, 9 იანვარი. (საკადესი). „ჩვენ ავაფეთქებთ ატომურ ბომბებს წყნარ ოკეანეში“, — განაცხადა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრმა პიერ მესერმა სიდნეიში. მისი განცხადება დღეს გამოქვეყნდა საფრანგეთის პრესაში. მიმომხილველები ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ საფრანგეთის მინისტრმა შესაძლებლად ცნო აგრესიული განცხადება გაეკეთებინა ავსტრალიაში, ერთ-ერთ ქვეყანაში, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა პროტესტი საფრანგეთის სამხეორო ხელისუფალთა იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ მოაწყონ ატომური იარაღის გამოცდა წყნარ ოკეანეში.

სიდნეიში მესმერი ცოტა ხნით შეჩერდა, როცა „კამბოჯიდან მიდიოდა ახალ კალედონიაში, სადაც გუშინ საღამოს ჩავიდა. საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრი საინსპექციოდ მოგზაურობს საფრანგეთის წყნარი ოკეანის ატომური ექსპერიმენტული ცენტრის სხვადასხვა ობიექტში, რომლებიც განლაგებულია გამბიეე არქიპელაგის კუნძულებზე, 1200 კილომეტრზე ტაიტიდან.

საფრანგეთის ატომური იარაღის დაგეგმილი გამოცდისათვის ძირითადი ბაზა ეწყობა ატოლ მურუროაზე.

სწორედ იქ, სადაც 500 კილომეტრ რადიუსზე მდებარეობს თეთრმეტი დასახლებული კუნძული, წერს დღეს გაზეთ „ლიბერასიონში“ მიმომხილველი ჟან-მორის ემმანი, დე გოლს სურს „გამოსცადოს“ ატომური და წყალბადის ბომბები. სწორედ იქ იხარჯება ახლა ასობით მილიარდი (ძველი) ფრანკი. ეს უფსკრული, რომელშიც მილიარდები იყრება, აღნიშნავს ემმანი, დიდ საფრთხეს უქმნის პოლინეზიის მოსახლეობას.

თავის განცხადებაში სიდნეის აეროპორტში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტერი ამტკიცებდა, რომ ატომური იარაღის განზრახული გამოცდა წყნარ ოკეანეში „არავითარ საფრთხეს არ უქმნის ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ხალხებს“. მას, როგორც ჩანს, თვითონაც დაავიწყდა, რომ თავის სხვა გამოსვლის დროს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გასული წლის 7 ნოემბერს ამბობდა: „რა თქმა უნდა საფრთხე არის“.

ტერორი ეკვადორში

ლიმა, 10 იანვარი. (საკადესი). როგორც პრესა იუწყება, ეკვადორის სამხედრო ხუნტა განაგრძობს ამ ქვეყნის დემოკრატიული და პროგრესული ძალების დევნას. მისი მიზანი ის არის, რომ დააშინოს ხალხი და ჩაახშოს წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც დღითიდღე იზრდება. „მაწანწალობისა და დამნაშავეობის“ წინააღმდეგ კამპანიის მოწყობის საბაბით ჯარების სპეციალურად გაწვრთნილი ქვეგანაყოფები ქუჩებში აკავებენ გუაიაკილის მცხოვრებთ. დაპატიმრებულნი პოლიციაში მიჰყავთ, დაჰკითხავენ და აწამებენ, შემდეგ კი გზავნან იძულებით სამუშაოებზე ქვის სამტეხლოებში, ჩასაფენი არხებისა და კანალიზაციის გასაწმენდად.

ბევრ პატრიოტს პოლიცია სპობს. მაგალითად, მანაბის პროვინციაში ათობით კაცი დაბვრიტა, ან ჩამოახრჩო „ფებრეს კორდეროს“ უანდარმთა ბატალიონმა, რომელსაც პოლკოვნიკი ბორხე კორტაირე მეთაურობს. ამ მკვლელობას სჩადიან ჯალათები, რომლებიც გაწვრთნეს „სამოქალაქო მოქმედების“ ეგრეთწოდებული გეგმების განხორციელების ამერიკელმა „სპეციალისტებმა“.

მაგრამ ხელისუფალთა დანაშაული, რეპრესიები და ბოცვა-ულტა ვერ დაშინებს ეკვადორის პატრიოტებს. ამ ქვეყნის რევოლუციური ძალები მოუწოდებენ ხალხს გაერთიანდეს ფაშისტი ჯალათების დასამხობად. ათასობით ფურცელს, რომლებიც ბრძოლის მოწოდებას შეიცავს, ცხოვლად ეხმაურება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. ეკვადორის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გამარჯვებამდე იბრძოლოს.

დაპატიმრებული ერაყში

ბაღდადი, 10 იანვარი. (საკადესი). ერაყის სამხედრო ტრიბუნალმა განაჩენი გამოუტანა 42 კომუნისტს. მათ მიესაჯათ მკაცრი პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

გაზეთი „ალ-მანარი“ იუწყება, რომ ერაყის ხელისუფლებამ კიდევ 110 კომუნისტი დააპატიმრეს.

პრესის განცხადებით ერაყში დაიწყო სასამართლო პროცესი იმპორტისა და ექსპორტის სამმართველოს ყოფილი გენერალური დირექტორის ნაიმ ბადაუის საქმის გამო. მას ბრალად დასდეს „კომუნისტური საქმიანობა“.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის 68-ე წრილობაზე

ბანგალორი, 9 იანვარი. (საკადესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო მმართველი პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის 68-ე ყრილობამ. ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პარტიის თავმჯდომარემ �სამარჯამ.

ყრილობის დღის წესრიგშია რეზოლუციები „სოციალიზმისა და დემოკრატიის შესახებ“, საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მოიწონეს ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

გაათავისუფლეს მარროკოს კომპარტიის ხელმძღვანელები

რაბატი, 9 იანვარი. (საკადესი). გაზეთები „ვიეი მაროკენი“ და „მაროკ ინფორმასიონი“ იუწყებიან დღეს, რომ „გუშინ რაბატის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საწინდრით გაათავისუფლეს“ მაროკოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები—ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ალი იათა და მაროკოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები აბდელ სალამ ბურკია და აბდალაჰ ლიაზი, რომლებიც 1963 წლის 25 ოქტომბერს დაპატიმრა კასაბლანკის პოლიციამ.

ერჰარდის გამოსვლა ბუნდესტაგში

ბონი, 9 იანვარი (საკადესი). დღეს დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა პირველი წაკითხვით დაიწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა. კამათი დაიწყო კანცლერ ერჰარდის გამოსვლით.

შეეხო რა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს მსოფლიოს ქვეყნების ხახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი, ერჰარდი ამტკიცებდა, რომ ეს წერილი „უდიდესი პროპაგანდისტული აქციაა“. ერჰარდმა აღნიშნა, რომ ამ წერილის პასუხი შეთანხმებულ იქნება დასავლეთის სხვა სახელმწიფოებთან. დასავლეთ გერმანიის კანცლერმა კვლავ გაიმეორა უბადალებული მოთხოვნა „თვითგამორკვევის უფლების“ შესახებ, რომლითაც ბონი გულისხმობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შთანთქმას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონთან თავის ამასწინანდელი მოლაპარაკების გამო ერჰარდმა აქცია პროპაგანდისტული მიზნით განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის მხარემ „აგრეთვე ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს ის საკითხი, თუ რა წვლილი შეიძლება შეტანილ იქნეს დაძაბულობის შენელებაში“. მაგრამ მან აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ესწრაფვის „მრავალმხრივი ატომური ძალების „შექმნას, რაც შესაძლებლობას უქმნის ბუნდესვერს ხელი იგდოს ატომური იარაღი. ერჰარდის სიტყვით, დასავლეთ გერმანია „ამერიკის შეერთებული შტატების ძვირფასი მოკავშირე და ბუნებრივი პარტნიორია“.

ერჰარდი შეეხო საფრანგეთთან ურთიერთობას და საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება დაახასიათა როგორც „ძირითადი ელემენტი“ დასავლეთ გერმანიის პოლიტიკისა. ამავე დროს ერჰარდი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება ფართოდ განხორციელდეს „ევროპის პოლიტიკური ინტეგრაცია“.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით კანცლერმა აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ხარჯები 1964 წელს კიდევ უფრო გაიზრდება. ამის დასასაბუთებლად იგი ამტკიცებდა, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები „არ იძლევიან საბაბს“ ამ ხარჯების შემცირებისათვის. კვიპროსის მინისტრმა უარყო თურქთა ყოველი წინადადება, რომელიც ეხება კუნძულის ყოფას, და განაცხადა, რომ ლონდონის კონფერენციაზე მისი მთავრობის დელეგაციის მონაწილეობასაც კი არ მიიღებს ამ საკითხის განხილვაში.

რესპუბლიკის მთავრობა იბრძოლებს კვიპროსის სრული დამოუკიდებლობისათვის, თქვა კიპრიანუმ.

კომუნისტი
№3 გვერდი, შაბათი,
11 იანვარი, 1964 წ.

კვიპროსის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა

ათენი, 9 იანვარი. (საკადესი). კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. კიპრიანუმ, რომელიც ათენში იმყოფება, დღეს განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ კვიპროსისადმი მიძღვნილ მომავალ ლონდონის კონფერენციაზე მისი მთავრობა მოითხოვს რესპუბლიკის ახლანდელი კონსტიტუციის სრულ გადასინჯვას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კვიპროსის ახალმა კონსტიტუციამ უნდა გაუქმოს „ხელშეკრულება გარანტიების შესახებ“, რომელიც უფლებას აძლევს ინგლისს, საბერძნეთსა და თურქეთს ჩაერიონ რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. კვიპროსის მინისტრმა უარყო თურქთა ყოველი წინადადება, რომელიც ეხება კუნძულის ყოფას, და განაცხადა, რომ ლონდონის კონფერენციაზე მისი მთავრობის დელეგაციის მონაწილეობასაც კი არ მიიღებს ამ საკითხის განხილვაში.

დიდი შეშფოთება

ბუენოს-აირესი, 10 იანვარი. (საკადესი). არგენტინაში მზადდება შეთქმულება ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ. განაცხადა დეპუტატმა რობერტო გალიანომ არგენტინის ეროვნულ კონგრესის დეპუტატთა პალატის სხდომაზე.

შეთქმულებას, თქვა მან, მეთაურობენ გადამდგარი გენერალი ფრედერიკო ტორანსო მონტერო და ადმირალი ისაკ როხასი.

გალიანოს განცხადებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია დეპუტატებს შორის. ამ განცხადებას განიხილავს კონსტიტუციის საქმეთა კომისია.

ტორნიკროფტის ვიზიტი

ლონდონი, 9 იანვარი. (საკადესი). რეიტერის საგენტოს ცნობით, დღეს საღამოს დედაქალაქ კუჩინგში ჩავიდა ინგლისი თავდაცვის მინისტრი ტორნიკროფტი. ინგლისის მინისტრის ვიზიტი სარავაკის და ჩრდილოეთ ბორნეოში საბოლოო ეტაპია მისი მოგზაურობისა მალაიზიის ფედერაციაში.

საკადესის კომენტატორი ლ. ნოსირევი წერს:

რა მიზნებს ისახავს ტორნიკროფტის მოგზაურობა ტერიტორიებზე, რომლებიც შედის მალაიზიის ფედერაციაში — ამ პატარა ნეოკოლონიალისტურ ფედერაციაში, რომელიც ინგლისის მმართველმა წრეებმა შექმნეს გასული წლის სექტემბერში. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის თავდაცვის მინისტრის მოგზაურობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ რაიონში დაემთხვა მტრულ კამპანიას ინდონეზიის წინააღმდეგ, რაც წამოიწყო მალაიზიის ფედერაციის მთავრობამ, რომელიც ბრალად სდებს ინდონეზიას „აგრესიულ მოქმედებას“. ტორნიკროფტის ვიზიტი მალაიზიაში და, კერძოდ, მისი მოლაპარაკება ფედერაციის პრემიერ-მინისტრ აბდულ რაჰმანთან მკაფიოდ მოწმობს, რომ ინგლისი აპირებს გააგრძელოს სამხედრო კონფლიქტი მალაიზიასა და ინდონეზიას შორის, იყენებს რა ამას საბაბად, რათა გააფართოოს ჩარევა და განამტკიცოს თავისი კოლონიური პოზიციები ამ რაიონში.

ყუალა-ლუმპურში მოლაპარაკებების დროს განხილული იყო უწინარეს ყოვლისა „სამხედრო ვალდებულებანი“, რომლებიც ინგლისმა იკისრა მალაიზიის წინაშე. „არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ჩვენ ვამბობთ... შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი“, — განაცხადა ტორნიკროფტმა თავის პრეს-კონფერენციაზე ყუალა-ლუმპურში.

სინგაპურში ყოფნის დროს, სადაც ინგლისის, შორეული აღმოსავლეთის შეიარაღებული ძალების სარდლობის მთავარი ბინაა, ტორნიკროფტმა მოაწყო რამდენიმე მოლაპარაკება, რომელთა დროს განხილული იყო სამხედრო პრობლემები ინდონეზიისათვის „წინააღმდეგობის გაწევის“ მიზნით.

ბონელ ბანკირთა ბანკროტი

ბონი, 9 იანვარი. (საკადესი). ბონელ ბანკირთა ბანკროტი ბანკროტ ბანკირ ბანკროტ ბანკირ ბანკროტ ბანკირ

ბალხური სიუნჯე

ბალხური მთქმელი ნიკო გორელაშვილი თელავის რაიონის სოფელ საკობიანოდან არის.

ამას წინათ მოხუცი მესიტყვე შემოვიდა ჩვენს რედაქციაში, უბიდან ამოიღო რვეული და ტკბილი ქართულით გვითხრა:

— შვილებო, იქნებ გამოგადგეთ გულით ნათქვამი. მე ლექსების ბეჭდვა არასოდეს არ მიცდია. თავისუფალ დროს თავს ვიქცევ ხოლმე, სიტყვა მეუბნება დამწერეო და მეც გადამაქვს სტრიქონები ქაღალდზე. აი ესეც, — თქვა მან, გადმოგვცა რვეული და თავაზიანად დაგვემშვიდობა.

კეთილი მოხუცის სტუმრობა სასარგებლო გამოდგა. წავიკითხეთ და ვიგრძენით ხალასი ნიჭი. და აი ახლა მკითხველებს ვთავაზობთ ნიკო გორელაშვილის პოეტური სიტყვის რამდენიმე ნიმუშს. უბრალოებით, მაგრამ სიმართლით და აზრით მოგვეწონა ეს ლექსები.

◇ ◇ ◇

ნიკო გორელაშვილი

სიყვარული

რამ გაგაჩინა ნეტარა
ტრფიალი ქვეყანაზედა,
სჩვევია დაუნდობლობა,
მიდგომა ყველას კარზედა.
თავი მაგარი მეგონა,
გაუტეხელი ქვაზედა,
მოვიდა, დამიმორჩილა,
მატარა თავის ჭკვაზედა.
ნუ დაგნებდები, ვფიქრობდი,
დავუდექ თავის ძალზედა,
ვემალებოდი ბნელაში,
მაგრამ დამდია კვალზედა.
მიპოვა, წამომიყვანა,
მზე დამანახვა ცაზედა,
გამომბარუნა დამდგარი
შავი შავეთის გზაზედა.

ამაყი კაცი

სიგლახეა სიამაყე —
ზოგს რომ აბავ თავი დიდი,
თავ ჰგონია ცათა სწორი,
ვით ვარსკვლავი, ზღვაზე ხიდი.
რა პაუსით გაგისტუმრებს
ერთი ამის კარზე მიდი.
არც რას მოგცემს, არც გაგმართავს,
თუნდა ჰქონდეს გასაყიდი.
გალანძღულიც მინახია
მისგან ბიძაშვილი მკვიდრი.
რისთვის ვარგა იყო კაცი
ბეწვის ხიდზე დასაკიდი.
ისეთ კაცთან ნურც ივჭერებ
ნურც იყიდი, ნურც გაჰყიდი!

სიბერე

ერთ დროს მეც ვიყავ ჭელი,
თვით მომდრეკილი გორისა,
ვერც მენა მჭრიდა გორდაი,
ხმალი ნაკნევი სწორისა,
ახლა კი ჭოხი მჭირდება,
ვეღარ დავდივარ ორითა,
აღარ შეუძლავ მუხლებსა
გზა მოიარონ შორითა.
არავინ ითქმის მდიდრადა
ათას ცხოვრების ჭონითა,
ის არი ყველგან მდიდარი,
ვინც კი სავსეა ღონითა.
სუსტი კი დალუპულია,
როგორც წიწილა ქორითა.
ასე ყოფილა სიბერე
ათეულ წლების ქროლვითა.

კარგი მონადირე

წავედი სანადიროდ,
არ მიხილებავ წყენაო,
ალაზნის პირზე ხოხობმა
ბარდში დაიწყო ფრენაო.
თვალი შევასწარ, წყეული
ეპარებოდა მელაო,
თოფი ვკარ, გადავაგორე,
სულ დავივიწყე ყველაო...
გასთავისუფლდა ხოხობი,
ცაში დაიწყო სტვენაო.
ალბათ მლოცავდა ფრთოსანი:
ო, ღმერთმა აგაშენაო...
მადლობას გადამიხდიდა,
მაგრამ არ უჭრის ენაო.
წადი, გაფრინდი, ხოხობო,
ნუმც მოგწყვნია ფრენაო;
ღმერთმა სუყველას უშველოს,
ვისაც ვინ მიემეფეაო.

ვაჟა-ფშაველას

მთას მოგუგუნე მანძილავ,
მინდა რო აგეზმიანო,
მთა-ბარის ამამტყვლო,
არწივო მხარ-კვერიანო.
სალი კლდეების სიმაგრეავ,
ციხეავ ქავ-ბალავნიანო,
ვეფხვო ჯანდაულეველო
და შეავრდენო ფრთიანო.
ისე სჭრის შენი ნათქვამი,
ვით ხმალი ააფხიანო,
შენს სიტყვის შესასრულებლად
მოწაფეებსა ზრდიანო.
შენს ლექსებს იზეპირებენ,
წიგნებს რო გადაშლიანო,
ვაჟას სახელით ვსარგებლობთ,
ფშავის გორებო ტყიანო.
არაგვო, ჩამომდინარე,
მბორგავო, თეთრქაფიანო,
ნუ გადაშრებით ადრევე,
ვაჟას წაწალნო იანო.
არ დამემდურო, მგოსანო,
რომ სიტყვა დაგიგვიანო,
მდაბიო ენის პატრონსა
შენი ნათქვამი მშიანო.

ბორბალო

ცად აზიდულხარ, ბორბალო,
გაძევს სულ თეთრი ფერია,
შენს ქებას შენი შვილები —
მდინარეები მღერიან.
ამაყად ამაღლებულსა
დილით მზე გაფრქვევს სხივებსა,
შეგამკობს ათასნაირად,
ტანზე აგასხამს მძივებსა.
არა ხარ უმეგობროდა,
სხვა მთებიც გიდგა გვერდზედა,
ზედ ყვავილები ჩყვავიან
ათასფრად იმათ მკერდზედა.
ბარის გულ-მკერდის დაფარვა
მთებს აგიღიხარ ხელზედა,
ამაყად დგომა გიხდება,
როგორაც ვაჟკაცს ცხენზედა.
წესრიგზე გაწყობილებსა,
შურთხნი გიმღერით ნანასა,
ვიცი, ერთგულად შეჰხარით
დროებას ამისთანასა.

იშვიათი ქართული წიგნები

მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ქართული წიგნის კატალოგში ათეულ ათასობით სახელწოდების ნაწარმოებებს ვპოულობთ. აქ უიშვიათესი გამოცემებია. ცალკე ინახება ისეთი უნიკუმები, როგორიც არის, მაგალითად, 1629 წლის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ ან შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ბეჭდური, 250 წლის წინათ გამოსული გამოცემა.

ბიბლიოთეკას ხშირად მიმართავენ დისერტანტები, ინჟინრები, მედიკები და სხვა ქართველი სპეციალისტები, როცა მათ აუცილებლად სჭირდებათ რაიმე დაბეჭდილი ან ხელნაწერი მასალები, რომლებიც საქართველოს უდიდეს წიგნსაცავებშიც კი არ მოიპოვება.

1964 წლის 14(2) იანვარს ლენინგრადში საზეიმოდ აღინიშნება ამ, სიდიდის მხრივ მეორე, ბიბლიოთეკის 150 წლისთავი. ამ-ქამად ბიბლიოთეკაში 14 მილიონი „დაცვის ერთეულია“. მსოფლიოს ყველა კუთხიდან და, რა თქმა უნდა, საქართველოდანაც, აქ ყოველდღე შემოდის 5.000-მდე წიგნი, ჟურნალი, გაზეთი. საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით ბიბლიოთეკა ლიტერატურას უგზავნის სხვა ქალაქებში თავის მკითხველებს, რომელთა შორის ცოტა ქართველი როდია.

მაშ შევიდეთ ნევის პროსპექტისა და ბაღის ქუჩის კუთხეში აღმართულ ქვეტ-კირის ძველ შენობაში, რომლის ფასადი მორთულია სვეტებითა და ქანდაკებებით. აქ სიჩუმის სამეფოში მოხვდებით — ჩვენი თანამოსაუბრენი მხოლოდ წიგნები იქნებიან.

წიგნი — ეს თითქოს თვით მისი ავტორია. და თვითეული მათგანი მზად არის თაროდან გამოცხადდეს მკითხველის პირველი დაძახილისთანავე. ხოლო ასეთი შეხვედრები რომ გაადვილდეს, არის თემატური კატალოგები — მეგზურები წიგნის ზღვაში. ჯერ კიდევ 1913 წელს ვ. ი. ლენინი ხომ გვასწავლიდა ბიბლიოთეკის სიამაყედ და სახელად მიგვეჩნია არა ის, „...თუ რამდენი იშვიათი ეგზემპლარია მასში, XVI საუკუნის რამდენი და რა გამოცემაა ან X საუკუნის რა ხელნაწერები მოიპოვება მას, არამედ ის, თუ **რამდენად ფართოდ** ტრიალებს წიგნი **ხალხში**, რამდენი ახალი მკითხველია მიზიდული, რამდენად კმაყოფილდება წიგნის ყოველი მოთხოვნა...“

ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების 150 წლისთავისათვის

ვლადიმერ ილიას-ძე ხშირად მიდიოდა საჯარო ბიბლიოთეკაში 1893-1895 წლებში და მთელ დღეებს მეცადინეობდა იქ, ქმნიდა შეხანშავე ნაწარმოებებს, რომელებიც მოუწოდებდნენ ხალხს ახალი ცხოვრებისათვის საბრძოლველად. ლენინი ისე დიდად აფასებდა მშრომელთათვის ამ მეტად საჭირო ბიბლიოთეკას, რომ ოქტომბრის რევოლუციისთანავე, 1917 წლის ნოემბერში დაწერა სტატია მისი ახალი ამოცანების შესახებ.

ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავად სამკითხველო დარბაზს ლენინისა ეწოდა, შენობის ფასადზე კი გაკეთებულია თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფა.

სხვა მემორიალური დაფები მიძღვნილია ცნობილი მარქსისტის გ. ვ. პლეხანოვისადმი, კულტურის გამოჩენილი მოღვაწის ვ. ვ. სტასოვისა და იგავთმწერალ ი. კრილოვისადმი. ბევრი გამოჩენილი ადამიანი დიდხანს მუშაობდა ხოლმე ბიბლიოთეკაში, სარგებლობდა მისი საგანძურებით და ცდილობდა გაემრავლებინა ისინი. ბიბლიოთეკის ფონდები ერთიათად გაიზარდა დიდი ოქტომბრის შემდეგ, როცა ცოდნისადმი მისწრაფება საყოველთაო-სახალხო გახდა.

თუ საჯარო ბიბლიოთეკის გახსნის წელს იქ მხოლოდ 369 მკითხველი იყო, ახლა წელიწადში ორ მილიონამდე მკითხველია! ათასზე მეტი ბიბლიოთეკარი და ბიბლიოგრაფი მუშაობს აქ. 28 დარბაზი ერთდროულად ორი ათასამდე კაცს იტევს, და მაინც ზოგჯერ ძნელი ხდება იპოვნო ადგილი მწვანეგაბაჟურიანი ლამპით განათებულ მაგიდასთან.

ბიბლიოთეკაში ექსკურსიები ეწყობა როგორც მუზეუმში. ერთ განყოფილებას ასეც ეწოდება — წიგნის მუზეუმი. ეს „შუასაუკუნეობრივი“ არქიტექტურის შენობაა, წიგნებით სავსე დიდი მძიმე კარადებით. მერე რა წიგნებია!

აქ თავისებურ მოგზაურობას ახდენ ქვეყნიდან ქვეყანაში, ეპოქიდან ეპოქაში.

ეგვიპტური პაპირუსები — ძველი აქტები და სიგელები — სამი ათასი წლისაა. ეს ჯერ კიდევ არ არის წიგნები, არამედ გრაგნილებია ეიროგლიფური ტექსტებით. ახლანდელის მსგავსი წიგნები [illegible] სუკუნის შემდეგ გაჩნდა.

ძველათ წიგნებს ხელით [illegible] ველთა ტყავისაგან დამზადებულ ეტრატებზე, რთავდნენ თავსამაყოლებითა და ბოლოსამკაულებით. აღტაცებას იწვევს ძველ მხატვართა და გადამწერთა მაღალი ოსტატობა.

მაგრამ რა არის იშვიათი წიგნი? ძალიან ძველი? სრულიადაც არა. კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, რომლებიც მათს სიცოცხლეშივე გამოვიდა, ძალიან დიდი ხნისა არ არის, მაგრამ ძვირფას ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ითვლება. ეს ხომ მებრძოლი წიგნებია. ისინი დიდხანს განიცდიდნენ სასტიკ დევნას, მათ ულმობლად სპობდნენ. ამ წიგნებიდან სულ ცოტა გადარჩა. და მით უფრო საამაყოა ისინი ბიბლიოთეკისათვის!

ბიბლიოთეკაში შეკრებილია ადამიანის გონების უშესანიშნავესი ქმნილებანი, რომლებიც მუდამ ემსახურებიან ადამიანთა თაობებს, გაადვიძებენ აზრს, დაეხმარებიან საზოგადოების განვითარებას.

ო. კარიშევი.

ლენინგრადი.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ახმეტა შენდება...

ახმეტა. (საკ. კორ.). მდინარეებით ილტოთი და ორვილით შემორკალულ დაბა ახმეტაში ბევრი რამ ახალი კეთდება. ქუჩები ეაფართოვდა. მათ გაყოლებით გაზონები გაკეთდა. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ახლახან მუშაობა დაიწყო ჰიდროლიზ-საფუარის ქარხანამ, სადაც პირუტყვის უუთაინი საკვები მზადდება. სატყეო მრეწველობის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებისათვის ხუთი საცხოვრებელი სახლი აშენდა. ერთი ამდენი წელს აშენდება.

დაბის ცენტრში მთავრდება ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ღვინის ქარხანა, რომელიც წლიურად ხუთი ათას ტონა ყურძენს გადაამუშავებს.

დაბის ჩრდილოეთით, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, ბახტრიონზე დიდი ტყე-პარკი შენდება. ბახტრიონის გმირთა პატივსაცემად აქ ობელისკი დაიდგმება. დაბა ახმეტა ფართოვდება, შენდება.

ნორჩ მეხანძრეთა მამაცობა

ცაგერი. (საკ. კორ.). ზამთრის ერთ ჩვეულებრივ დღეს სოფელ ისუნდერში უცაბ ცეცხლის ალი ავარდა — თვის ზვინები იწვოდა. სერიოზული საფრთხე შეექმნა საზოგადოებრივი პირუტყვის საკვებსა და ახლომდებარე შენობებს.

ხანძარი რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა შენიშნეს და განგაში ატეხეს. სასწრაფოდ შეიკრიბნენ ნორჩი მეხანძრეები — ა. მანდარია, ს. კუხალაშვილი, ვ. მანდარია, ა. ამბროლიანი და სხვ. პიონერებმა სახანძრო ინვენტარი მოიმარჯვეს და გამძვინვარებულ სტიქიას შეებრძოლნენ.

ძალე ხანძრის კერა ჩაქრობილ იქნა. პიონერებს კოლმეურნეობის გამგეობამ კოლმეურნეთა სახელით მადლობა გამოუცხადა.



ახალი წიგნები

ალექსი ტოლსტოი — **პეტრე პირველი**, რომანი. წიგნი II-III. თარგმანი გივი კარბელაშვილისა. რედაქტორი გ. ციცქიშვილი, მხატვარი ი. დევნოგორეცეგა-გრიგოლია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვ. 520, ფასი 1 მან. 01 კაპ.

იაკინთე ლისაშვილი — **თხზულებანი**, ტომი IV. წიგნში დაბეჭდილია რომანი „ეკეცხველი“ და მოთხრობები. რედაქტორი ილ. ხოშტარია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვ. 528, ფასი 90 კაპ.

ფოთა ძიძიგური — **აკაკი შანიძე**. სერია — „ჩვენი სახელოვანი თანამედროვენი“. რედაქტორი ს. ქენტი, მხატვარი ჯ. ყაველაშვილი. გამომცემლობა „ნაკადული“. გვ. 92, ფასი 22 კაპ.



ჩვენი ფოტოკონკურსისათვის

საქართველოს ბუნება, მისი მთები და ტყეები, თვალწარმტაცი ხეობები ფოტომოყვარულთა შემოქმედების ერთ-ერთი თემაა. იგი ბევრმა ფოტომოყვარულმა თავისებურად ასახა თავის ნამუშევარში და საკონკურსოდ გამოგვიგზავნა. აქ ვბეჭდავთ ორ ნამუშევარს — „ყაზბეგის პეიზაჟს“ (სურათი ქვემოთ), რომლის ავტორია **ვ. ფილაური**, და **ალ. არაბულის** ფოტოეტიუდს „უჭარმის ტყეში“ (სურათი ზემოთ).

გურჯაანის „ალაგზანს“— „ბ“ კლასის საგზური

როგორც ცნობილია, რესპუბლიკათა „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო ასპარეზობაში საქართველო ფეხბურთელთა ხუთი კოლექტივით გამოდის. გასულ სპორტულ სეზონში ამ პაექრობაში თავი გამოიჩინა თბილისის „ლოკომოტივმა“, რომელიც გადაყვანილია „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფში.

ბათუმის „დინამოს“, რუსთავის „მეტალურგის“, სოხუმის „დინამოსა“ და ფოთის „კოლხიდის“ გუნდები კვლავ „ბ“ კლასში გამოვლენ. მეხუთე ეაკანტური ადგილისათვის შესარჩევი იყო ახალი კოლექტივი. ამ ადგილზე სურვილი განაცხადა გურჯაანის რაიონმა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა გაითვალისწინა გურჯაანის თხოვნა და რესპუბლიკის მეხუთე კოლექტივად „ბ“ კლასში დაამტკიცა გურჯაანის „ალაზანი“, რომელიც გაძლიერებული იქნება სხვადასხვა კოლექტივების საუკეთესო მოთამაშეებით, ამასთანავე აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს საშინაო სასპორტო ბაზა.

„ალაზნის“ უფროს მწვრთნელად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ზაზროევი, მწვრთნელად — მ. პირაევი.

ფეხბურთის ფედერაციის ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა საქართველოს სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმმა. ეს გადაწყვეტილება გადაეგზავნა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას.

ლიდერია ლ. შტეინი

გუშინ მოსკოვში შედგა მატჩტურნირის მესამე პარტია ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლენელად. ლ. შტეინი თეთრებით თამაშობდა რ. ხოლმოვის წინააღმდეგ. 45-ე სვლაზე პარტია გადაიდო, სადაც ლ. შტეინს ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია აქვს.

წინ არის ლ. შტეინი, რომელსაც ორი შესაძლებლობან ერთი ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.



90 კანდიდატი

დადგა 1964 წელი, მსოფლიოს სპორტულ ასპარეზზე უდიდესი მოვლენის — ოლიმპიურ შეხვედრათა წელი.

პირველად საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიაში ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებთა კანდიდატების რაოდენობა შეადგენს 90 კაცს. კანდიდატთა შემადგენლობაში არიან თითქმის ყველა ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელნი.

ქართული საჭიდაო სკოლის დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის 26 წარმომადგენელმა უფლება მიიღო ებრძოლოს ტოკიოში გამგზავრებისათვის. მათ შორის არიან თავისუფალი სტილის მოჭიდავენი **ვ. რუბაშვილი, ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, შ. ლომიძე, ნ. გოგიბედაშვილი**, კლასიკური სტილის მოჭიდავენი **ო. ეგაძე, დ. გვანცელაძე, რ. რურუა, რ. აბაშიძე**, ძიუ-დოს სტილის მოჭიდავენი ა. კიკნაძე, ა. ჭიბროწაშვილი, დ. ბერუაშვილი.

ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში კანდიდატებად შეყვანილი არიან ვეოლისბალისტები ო. ფხაკაძე და მ. კოლიაშვილი, ტანმოვარჯიშენი ნ. მაკალათია, ი. ბალიაური, მ. ნიშოშვილი, ა. ჯანუყაშვილი, ძლეულნენი ა. ბენდიკაძე, ი. დიანკოვი, ლ. იეკლევა, მოცურავენი ნ. ფუნიკოვი, ბ. ნიკიტინი, ე. დიბრაძე, ი. ამნიაშვილი, მოფარიკავენი ნ. ანდრიაძე, ნ. ასათიანი, გ. კოსტავა, გ. ლორთქიფანიძე, ი. ოსიპოვი, წყალბურთელები ლ. გოგოლაძე, გ. ჩიქვანაია, ვ. სანაძე, ო. მიმინოშვილი, ვ. რომანოვი და სხვ.

(საქედანი).

სპორტული ქრონიკა

□ მოსკოვის საკლუბო ნაკრები გუნდი ფეხბურთში მექსიკაში გაემგზავრა შემდეგი შემადგენლობით — ურუშაძე, ბაუჟა, მუდრიკი, შესტერნევი, შუსტიკოვი, გლოტოვი, კორნეევი, შიკუნოვი, ვორონინი, ტუაევი, ჩისლენკო, ივანოვი, მუსტიგინი, პონედელნიკი, გუსაროვი, სერგეევი, ჰუსაინოვი, კოპაევი, მალაფეევი.

□ რუმინეთში დამთავრდა „ბუქარეშტის თასის“ გათამაშება ჰოკეიში, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდა მოსკოვის „კრილია სოვეტოვი“. საბჭოთა ჰოკეისტებმა წარმატებით ჩაატარეს შეჯიბრება და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის „სპარტაკი“, მესამეზე — რუმინეთის ოლიმპიური ნაკრები.

□ დაიწყო ფრენბურთელთა უძლიერესი კოლექტივების ზამთრის საკავშირო შეჯიბრების წინასწარი შეხვედრები. თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ოდესის არმიელი ფრენბურთელები 3:1, რიგის „ელექტრონმა“ მოუგო სოხუმის „კოლმეურნის“ ქალთა გუნდს 3:0.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

დედამიწის ასაკი

რამდენი წლისაა დედამიწა? ეს საკითხი დიდი ხანია აღელვებს კაცობრიობას. მაგრამ პლანეტის ასაკის ზუსტად განსაზღვრა ვერც არქეოლოგებმა შეძლეს, ვერც ისტორიკოსებმა... და მხოლოდ რადიოაქტიურობის მოვლენის გამოყენებით მოხერხდა მივახლოებოდით საუკუნოვანი საიდუმლოების გამოცნობას.

თუმცა გამოთქმა „დედამიწის ასაკი“ ისეთი სიტყვებისაგან შედგება, რომელთაგან თვითეული აზრი სავსებით ცხადია, მთლიანად კი გამოთქმა გაურკვეველია.

როცა საქმე ეხება მინერალებსა და ქანებს, ესე იგი ისეთ სხეულებს, რომელებსაც თავიანთი ისტორიის კარგად ცნობილი საწყისი და საბოლოო მომენტები აქვთ— კრისტალიზაციის მომენტიდან სინჯების შერჩევის მომენტამდე, მათი ასაკის განსაზღვრის ამოცანა სრულიად მარტივია. მით უმეტეს, რომ მინერალები და ქანები მთელი ამ ხნის განმავლობაში მაგარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ხოლო როცა საქმე ეხება პლანეტა დედამიწის ასაკს, მისი წარმოშობა, ხოლო მით უმეტეს საწყისი მომენტი, ჩვენთვის უცნობია. ჩვენ არც ის შეგვიძლია, რომ წარმოვიდგინოთ ნივთიერების მდგომარეობა დედამიწის წარმოქმნის დროს.

მარილაც, თუ დავიცავთ იმ ჰიპოთეზას, რომ პლანეტა წარმოიშვა მზის გარემომცველი თავდაპირველი გაზისა და მტვრის ღრუბლიდან, მაშინ ცხადი არ არის, რა უნდა ჩაითვალოს დროის გამოთვლის საწყის მომენტად: პროტოპლანეტის წარმოქმნა თუ დედამიწის გაჩენა „მიწის ნივთიერების“ კომპაქტური მაგარი მასის სახით და მისი გაყოფა გარსებად?

რამდენადაც არ არსებობს მზის სისტემის წარმოქმნის საყოველთაოდ აღიარებული თეორია, ჩვენ შეგვიძლია ჯერჯერობით გარკვეულად ვილაპარაკოთ დედამიწის მხოლოდ მინიმალურ ასაკზე, ესე იგი დედამიწის ქერქის ყველაზე ძველი უბნების ასაკზე, რომელიც განსაზღვრება სამი მეთოდის — სტრონციუმის, ტყვიისა და არგონის მეთოდების გამოყენებით.

სხვადასხვა კონტინენტზე მეცნიერებს გამოუკვლიენიათ უძველესი ქანების დიდი ბლოკი. მაგალითად, კოლის ნახევარკუნძულზე აღმოჩენილია უბნები კრისტალური ფაზისა, რომლის ასაკი დაახლოებით 3.600 მილიონ წელიწადს შეადგენს. უკრაინაში, დნეპროპეტროვსკის რაიონში, ნაპოვნია ქანები, რომლებიც 3.200 მილიონი წლის წინათ წარმოქმნილან. დედამიწის ასაკი ყოველ შემთხვევაში ზემოთ მოყვანილ მნიშვნელობებზე უფრო დიდია. მაგრამ რამდენად?

ჩვენ შეგვიძლია ვცადოთ გამოვარკვიოთ დედამიწის ნივთიერების ელემენტების ასაკი, რომელიც დედამიწის ასაკის ზედა ზღვარი იქნება.

რადიოგენური იზოტოპის შემცველობა და, მაშასადამე, მისი გავრცელება დედამიწის ქერქში დედა-ელემენტის დაშლის შედეგად დროთა მსვლელობაში დიდდება. თუ თვალს გავადევნებთ ამ პროცესს მის დასაწყისამდე, აღმოვაჩენთ, რომ რადიოგენური იზოტოპის შემცველობა თანდათან მცირდება და საბოლოო ანგარიშით ნულამდე დადის.

ტყვიის რადიოგენური იზოტოპი — ტყვია-207 იქნება ურან-235-ის დაშლისას. რომ გამოვიანგარიშოთ, როგორ იცვლება ტყვია-207-ის გავრცელება დროში, უნდა ვიცოდეთ მისი გავრცელება დედამიწის ქერქში. განგარიშება გვიჩვენებს. რომ დაახლოებით 5-6 მილიარდი წლის წინათ ტყვია-207-ის რაოდენობა დედამიწის ქერქში ნულს უდრიდა. მაშასადამე, მანამდე ტყვია და ურანი არ შეიძლებოდა ერთდროულად ყოფილიყვნენ მზის სისტემის ფარგლებში. დანარჩენი მძიმე ელემენტები ალბათ იმავე დროს წარმოიქმნენ.

კოსმოგონიური თეორიების თანახმად, მზის სისტემის ყველა სხეულს, მათ შორის მეტეორიტებსაც, ერთიანი ბუნება აქვს. მეტეორიტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ დედამიწის სიღრმის ნაწილების ნივთიერებათა შემადგენლობა. ხოლო მეტეორიტების ან იმ სხეულების წარმოქმნის დრო, რომელთაგან ისინი წარმოიშვნენ, როგორც ჩანს, დედამიწის ფორმირების დროს ემთხვევა.

დედამიწის ასაკი თანამედროვე ტყვიის იზოტოპების გავრცელების მიხედვით რომ გამოვიანგარიშოთ, უნდა ვიცნობდეთ თავდაპირველი ტყვიის იზოტოპურ შემადგენლობას. აქ გვეხმარებიან მეტეორიტები, რომელებშიც თავდაპირველი ტყვია სჭარბობს რადიოგენურ იზოტოპებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, კოსმოსურ სხეულებში აღმოჩენილი უნდა იყოს ტყვიის იზოტოპური შემადგენლობა, რომელიც დამახასიათებელია გაზისა და მტვრის ღრუბლისათვის მზის სისტემის პლანეტების ფორმირების მომენტში.

იმ განსაზღვრამ, რომელიც ამერიკელმა მეცნიერმა ს. პატერსონმა მისცა რკინის მეტეორიტების თავდაპირველი ტყვიის იზოტოპურ შემადგენლობას, დიდხანს ვერ იარსება. მეცნიერ თანამშრომლებთან თანამეგობრობით მე მოვახერხე დამემტკიცებინა, რომ არსებობს რკინის მეტეორიტების ორი ჯგუფი ტყვიის სხვადასხვა იზოტოპური შემადგენლობით. ამის შესაბამისად საჭირო შესწორებათა შეტანა დედამიწის ასაკის გამოანგარიშებისას.

თუ შევიტანთ შესწორებას იმ თავდაპირველი ტყვიის იზოტოპური შემადგენლობის მიხედვით, რომელიც ქვის მეტეორიტებშია, შეგვიძლია განვსაზღვროთ მათი წარმოქმნის მომენტიდან გასული დრო. რამდენადაც მათი ნივთიერება თავდაპირველ ნივთიერებასთან ახლოა, მათი ასაკი დედამიწის ასაკს უნდა შეესაბამებოდეს. ათ ქვის მეტეორიტს, რომელებსაც მე თანამშრომლებთან ერთად ანალიზი გავუკეთე ტყვიის მეთოდის გამოყენებით, საშუალოდ ოთხნახევარი მილიარდი წელიწადი „უცოცხლიათ“.

ამრიგად, დედამიწის მინიმალური ასაკი, რომელიც განსაზღვრულია ხმელეთის ყველაზე ძველი უბნების მიხედვით, უდრის 3,5 მილიარდ წელიწადს, ხოლო მაქსიმალური — ელემენტების ასაკის მიხედვით— 5-6 მილიარდ წელიწადს. დედამიწის გაყოფა გარსებად 4-4,5 მილიარდი წლის წინათ მოხდა.

იოსებ სტარკი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მოსწავლე — სპორტის ოსტატი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში სახელი გაითქვა ახალგაზრდა მოჭიდავემ ს. ბუხნიკაშვილმა. იგი წარმოგებაში მუშაობს და წელს ამთავრებს მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლას. მას თვრამეტი წელი უსრულდება.

ს. ბუხნიკაშვილი მზარდი სპორტსმენია. მას წვრთნის საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი შ. ხვედელიძე.

ს. ბუხნიკაშვილი არა ერთხელ გამოსულა შეჯიბრებებზე და სპარიზო ადგილი მოუპოვებია, ხალიჩაზე ბეჭებით დაუწვენია გამოცდილი მოჭიდავეები.

ამის წინათ ს. ბუხნიკაშვილი თბილისს გუნდურ პირველობაზე გამოვიდა კონკურსგარეშე და ახალ წარმატებას მიაღწია. მან შესანიშნავ სტილში მოუგო „სპარტაკის“, „დინამოს“, „კოლმეურნეს“, წარმომადგენლებს და ფინალში შეხვდა „ბურევესტნიკელ“ სპორტის ოსტატს ს. დონჯიაშვილს.

ოსტატი ს. დონჯიაშვილი სუფთა დამარცხებისაგან გონგმა იხსნა. შეხვედრა ქულებით მოიგო ს. ბუხნიკაშვილმა და ამით შეასრულა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა. ჭიათურელი მოსწავლე ს. ბუხნიკაშვილი სპორტის ოსტატი გახდა.

თეატრები

11 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური კარმენი, რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — მეტეხის ჩრდილში (მე-11 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), მარჯანიშვილის სახელობის — აურზაური არაფრის გამო (მე-13 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობის — პალატა (მე-14 აბონ. მე-5 წარმოდგენა), ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის (რკინიგზელთა სახლში) — შესანიშნავი სამეული, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ცისკარაულების ბუდე (აბონ. № 41, 6 ს.), თოჯინების ქართული — კომბლე (11 ს.), ფიქიას სკოლა (2 ს.).

კინო

11 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კომუნარების სახლი, ფაბრიკა, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ნაკადული — **გამოუგონებელი ამბავი**, თბილისი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი — **ელექტრა**, კოლხიდა — **სტამბოლელი ხაზინადრის მემკვიდრეობა**, კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი — **ორი მებრძოლი**.

ტელევიზია

11 იანვარი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — პიონერული ახალი ამბები, 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „წიგნის თარო“, 18.50 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „თევზი, რომელიც კინოდამ დაიხრჩო“, 19.00— გადაცემა — „პლასტიკური მასები და ქიმიური ბოჭკოები“, 19.15 — კინონარკვევი — „შეამოწმეთ თქვენი საათი“, 19.25 — გადაცემა ციკლიდან — „იცით თუ არა“, 19.40 — კინონარკვევი — „გამარჯობა, ვიბორგის მხარე“, 20.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 20.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ბურთი და მოედანი“, 21.20 — ახალი ამბები, 21.35 — საესტრადო კონცერტი — „ქართული მელოდიები“.

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.30 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 09.15 — სიმღერები საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვაჟთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — საგუნდო სიმღერები ქართული ოპერებიდან, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — „მუსიკალური რადიოფიშა“, 12.35 — მეჩონგურე ქალთა ანსამბლების კონცერტი, 13.20 — მუსიკა კინოფილმებიდან, 14.00 — გადაცემა მოსწავლ